პროლეტარიელებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 117 (19858) პარასკევი, 22 მაისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

უზრუნველყოთ საკვების წლიანახევრის მარაგი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკვების დამზადების, 1987-88 წელს პირუტყვის გამოსაზამთრებლად წლიანახევრის მარაგის შესაქმნელად სამუშაოთა ორგანიზებული წარმართვის დამატებით ღონისძიებათა საკითხი.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები თანმიმდევრულად მუშაობენ, რათა შეასრულონ სასურსათო პროგრამა, დაჩქარებით განავითარონ მეცხოველეობა მისი საკვები ბაზის განმტკიცების საფუძველზე. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, რესპუბლიკის სახაგრომრეწვმა ძირითადად დროულად შეამუშავეს და ახორციელებენ ორგანიზატორულ, პოლიტიკურ და სპეციალურ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის IV პლენუმის მიერ დამტკიცებული საკვებწარმოების ინტენსიფიკაციის კომპლექსური მიზნობრივი პროგრამის რეალიზაცია.

ამავე დროს, ნათქვამია მიღებულ დადგენილებაში, მიმდინარე წლის ელექტრომაღალი ამინდის პირობებს ყველგან როდი დაუპირისპირეს ზუსტი და შეთანხმებული მუშაობა, რასაც მოჰყვა მნიშვნელოვანი ჩამორჩენა. 18 მაისის მდგომარეობით მრავალწლოვანი ბალახების თესვის გეგმა შესრულდა 84 პროცენტით, ერთწლოვანებისა — 73, სასილოსე სიმინდისა — 69 პროცენტით.

ახალქალაქის, გარდაბნის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, მარნეულის, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებში გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები პარტიის რაიკომებისა და აგროსამრეწველო გაერთიანებების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობისა და სპეციალისტების მუშაობის საკვების დამზადების სეზონისათვის მოსამზადებლად.

მთელ რიგ მეურნეობებში ხელიდან უშვებენ ჩამორჩენის დაძლევის შესაძლებლობებს, ჯერ კიდევ არ შეუდგენიათ სამუშაოთა მოწყობის გრაფიკები, აპიროვნებენ საკვები კულტურების თესვისა და მოსავლის აღების დამთავრებას. მაგალითად, ამინდის კარგი პირობების მიუხედავად, გურჯაანის რაიონში ნელი ტემპით თესავენ მწვანე მასისათვის და სამარცვლედ გათვალისწინებულ სოიას, სასილოსე სიმინდს, ხოლო ჭინდარის, არაშენდის კოლმეურნეობებში, გურჯაანისა და ბაკურიანის საბჭოთა მეურნეობებში ეს სამუშაოები არც კი დაწყებულა. მწვანე მასის აღებას აპიროურებენ წითელწყაროს, გარდაბნისა და ყვარლის რაიონების მეურნეობებში. სიღნაღის რაიონის წნორის კომპლექსში ამორტიზებულია 800 ჰექტარი, რაც მრავალწლოვანი ბალახების ნათესების მთელი ფართობის 13 პროცენტს შეადგენს, საშუალოდ კი რაიონში ამ ბალახების ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ პირველი თიბვის შემდეგ მხოლოდ 82 ცენტნერი შეადგინა.

მეტი წილი შემოწმებული მეურნეობების ხელმძღვანელები და სპეციალისტები უგულებელყოფენ საკვები კულტურების მოვლა-მოყვანისა და საკვების დამზადების ტექნოლოგიებს. მარნეულის რაიონის მეფანლოს კომპლექსსა და ლომთაგორის საბჭოთა მეურნეობაში, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების ზოგიერთ მეურნეობაში სენაჟის ნაცვლად ჩაიდეს სილოსი.

არ მოუგვარებიათ საკვები რესურსების აღრიცხვის ზუსტი სისტემა, დროულად ვერ აფორმებენ შემოსავალში მათი გატარების აქტებს. კერძოდ, ლაგოდეხის რაიონის სოფლების ცოდნისკარისა და ულიანოვკის კოლმეურნეობებში, წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის კოლმეურნეობაში სწორად და მთლიანად არ აღრიცხავენ საკვების დამზადების სამუშაოებს.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს საკვების დაბალი ხარისხი. მთლიანად არ მოუმზადებიათ აგროქიმიური და სავეტერინარო ლაბორატორიები, „მათ უმრავლესობას არა აქვს საკვების დამზადების გრაფიკები. იმის გამო, რომ ყვარლის აგროქიმიური ლაბორატორია ტექნიკურად მთლიანად არ არის აღჭურვილი, კონტროლს ვერ უწევს საკვების ხარისხს. გარდაბნის ვეტლაბორატორიის მიერ მოწყობილი ანალიზების შედეგებს ვერ იღებენ მეურნეობები. სიღნაღის ვეტლაბორატორიას ჯერ კიდევ არ დაუწყია დამზადებული 674 ტონა ბალახის ფხვნილის ხარისხის შესწავლა. სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობაში არსებული ჩანაწერებით გამოკვლეულია 400 ტონა სენაჟის ხარისხი, თუმცა ფაქტობრივად აქ სულ 190 ტონაა დამზადებული.

არადამაკმაყოფილებლად არის საკვებსაცავების მზადყოფნის საქმე. მარნეულის, გარდაბნის, გურჯაანისა და ყვარლის რაიონების მეურნეობებში სასილოსე და სენაჟე ტრანშეები არ გაუწმენდიათ, არ შეუკეთებიათ. მარნეულის რაიონში დამზადებული ბალახის ფხვნილი სათავსების უქონლობის გამო ღია ცის ქვეშ აწყია და ფუჭდება.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ყველგან ჯეროვანი პასუხისმგებლობით როდი მოეკიდნენ ორგანიზებულად და უდანაკარგოდ საკვების დამზადების კამპანიის მომზადებას და მოწყობას, მთლიანად ვერ უზრუნველყოფენ საკვების ასაღები ტექნიკისა და ავტოტრანსპორტის დიდმწარმოებლურ გამოყენებას, არ იყენებენ სამრეწველო და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების დახმარებას.

ბევრი აგროსამრეწველო გაერთიანება, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები და სპეციალისტები, მათი პირველადი პარტორგანიზაციები არ ახორციელებენ საკვები კულტურების ნათესების რაციონალური გახლართვების, სარწყავი მიწების, სასუქების, სათესი მასალის ეფექტიანი გამოყენების ღონისძიებებს, შეურიგდნენ საკვები კულტურების არასტაბილური და მცირე მოსავლის მოწევას. საკვებწარმოებაში სუსტად იხერგება შრომის ორგანიზაციის მოწინავე ფორმები და მეთოდები, „ამ საქმეში ბევრია ფორმალიზმი.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, გაწეული მუშაობის მიუხედავად, მთლიანად ვერ უზრუნველყო მთელი ძალებისა და საშუალებების მაქსიმალური მობილიზება, შემრიგებლურად ეკიდება საკვების მოვლა-მოყვანისა და აღების, მათი დაბინავებისათვის

(დასასრული მე-2 გვ.).

მსუბუქი ინდუსტრიის მოვალეობა

დროა იგი მოიხადოს — მოითხოვენ მყიდველები

კონოვიკის სფეროში მსუბუქ მრეწველობას განსაკუთრებული ადგილი უკავია; იგი უშუალოდ, პირდაპირ მუშაობს მომხმარებლისათვის, მისი ყოველდღიური საჭიროებებისათვის, რომლებიც სულ უფრო მეტითხოვნი ხდება. ადამიანებს სჭირდებათ მრავალფეროვანი, ფართო ასორტიმენტის, საუკეთესო ხარისხის საქონელი, რომელიც დაკმაყოფილებს მოსახლეობის ყველა ჯგუფს. მიმდინარე ხუთწლედში მსუბუქი ინდუსტრიის საქონლის გამოშვების მატების რიგში დასახულია დაჩქარდეს 2,5-ჯერ, ამასთან მკვეთრად გაუმჯობესდეს მახარბილი მოთხოვნის ნაწარმის ხარისხობრივი მახასიათებლები.

ახლა სახიხარულო ძვრები შეინიშნება დარგის მუშაობაში. მაგრამ, როგორც პირველი კვარტალის შედეგები გვიჩვენებს, არც წარმოების მოცულობის ზრდის ტემპში, არც საქონლის ხარისხი არ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს. სავაჭრო ორგანიზაციები კვლავ იღებენ ნაწარმს, რომელიც ვერ სადღება და საწყობებში გროვდება. ვის მიუზღავს, მაგალითად, ლენინაბადის აბრეშუმის კომბინატის უფერული, უხასური ქსოვილები, თუ მათი ხარისხი, როგორც ირკვევა, გუშინდელი დღის დონეზეა? ასეთივე „ღირსებები“ აქვს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა ბევრი სახეობის საქონელს. მათს დასახლოებით მესამედს იწუნებენ, საწყობებში ამას წინათ დაგროვდა 100 მილიონი მანეთის ნაწარმი. შეიძენენ კი მას მყიდველები, თუნდაც რომ ჩამოაფასონ?

ფაქტები მოწმობს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სხრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „მსუბუქ მრეწველობაში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის სრულყოფის შესახებ“ დარგის ფაბრიკებსა და ქარხნებში შეუწყნარებლად ნელა სრულდება. ზოგნი, მუშაობის ძველი მეთოდისადმი ერთგულება აფერხებს დადგენილებაში დასახული ამოცანის გადაწყვეტას — ძირეულად გარდაქმნას მსუბუქი ინდუსტრიის მუშაობა.

საქონლის გამოშვების გაზრდის, მისი ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესების ტემპი პირდაპირ დამოკიდებულია მსუბუქ ინდუსტრიაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე. მთელი იმ მოწყობილობიდან, დღემდე, რომელსაც დარგი იღებს, მხოლოდ 20-ოდე პროცენტი შეესაბამება მსოფლიო დონეს. ასეთი მდგომარეობა ძირითადად მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს ბრალია. მაგრამ თავად მეკვეთებიც არიან პასუხისმგებელი დაზგების პარკის განახლების ნელი ტემპისათვის. ისინი ჯეროვან მომთხოვნელობას არ აჩენენ თავიანთი მიმწოდებლებისადმი.

გადაჭრით უნდა შეიცვალოს მიმწოდებლებისა და მომხმარებლების ურთიერთობა. როგორ მივაღწიოთ, რომ მანქანათმშენებლები და მსუბუქი მრეწველობის საწარმოები უფრო აქტიურად მუშაობდნენ საერთო საბოლოო შედეგის მისაღწევად? სტიმული უნდა მივცეთ პარტნიორთა კეთილსინდისიერებას, მათ შემოქმედებითს ძიებას. თუ ახალი დაზგა ზრდის შრომის ნაყოფიერებას, ამსუბუქებს მის პირობებს, დაე ამან გავლენა იქონიოს ხარისხოვანი მოწყობილობის მიმწოდებლთა მატერიალურ მდგომარეობაზეც.

მსუბუქი ინდუსტრიის საწარმოთა რეკონსტრუქციის დროს ორიენტირი უნდა იყოს იმ პროცესების ავტომატიზაციის მაღალი დონე, რომლებიც საშუალებას მოგვცემს უფრო სწრაფად გარდავქმნათ წარმოება საქონლის ახალი ასორტიმენტისათვის, გავაუჯობესოთ მისი ხარისხი. ვერ შევურიგდებით იმას, რომ წარმოებაში მეტახმეტად ნელა ინერგება მიკროპროცესორები, რომელთა გამოყენება რამდენჯერმე ზრდის შრომის უკუგებას, საშუალებას იძლევა გამოთავისუფლდეს მუშახელი. ეს მეტად საჭიროა დარგისათვის, რომელიც კადრების მუდმივ ნაკლებობას განიცდის. ჯერ კიდევ სუსტია წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი კონტაქტები მეცნიერებთან, მომიჯნავე დარგების სპეციალისტებთან, არადა, სწორედ უწყებრივობის დაძლევა გვაძლევს ზრდის დიდ რეზერვებს.

უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა, როცა ფეიქრები უსაყვედურებენ ხაღებრებს მიმწოდებლებს, მაშ, რატომ არ გარდაქმნან მუშაობას ქიმიკოსები? რატომ დახავებულა მაღაზიების დახლებზე ქსოვილი, რომელიც არ ბრწყინავს ცისარტყელას ფერებით, არ აძლიავს მისი შეძენის სურვილს? ეს უწინარესად ნაწარმის ხარისხობრივი პარამეტრების უგულებელყოფის, მთლიან პროდუქციას გამოდევნები, ფაბრიკის ჭიშკრიდან გამოსული საქონლის ნედლისათვის უპასუხისმგებლობის შედეგია. ნორმალურად ვერ მივიჩნევთ იმას, რომ ქსოვილის მიმწოდებლები, რომლებიც მკერავებთან ერთად ერთ დარგში არიან, ხშირად აღალტებენ თავიანთ პარტნიორებს, არ აკმაყოფილებენ მათს მოთხოვნილებებს. დროა მომიჯნავე დარგების შტაბები სერიოზულად გაერკვნენ მაღალხარისხოვანი ნედლეულით, საფეიქრო-დამამზადებელი ნივთიერებებით საწარმოთა უზრუნველყოფაში, მეტი ყურადღება დაუთმონ გამოსაყვან საწარმოთა ტექნიკურ განახლებას.

დარგის მუშაობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია შეკვეთების ასპროცენტიანი შესრულება, სწორედ ეს კრიტერიუმი მიღწეული მოგების დონესთან ერთად განსაზღვრავს ახლა თვითდაფინანსების პირობებში მომუშავე გაერთიანებების, ფაბრიკებისა და ქარხნების ხახეს. მაგრამ ვალდებულებათა დარღვევის, უხარისხო ნაწარმის მიწოდების ფაქტები ჯერ კიდევ საკმარისად არის.

ОГОНЬКИ

21 მაისის მოწინავე

მოსკოვიდან გაემგზავრა

20 მაისს მოსკოვის „პარიზის კომუნის“ ფაბრიკაში — ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ზარიას“ მეთაურ საწარმოში გულითადად შეხვდნენ ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ნგუენ ვან ლინს.

გაიმართა საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის მიტინგი. მოძმე პარტიის ხელმძღვანელს მიესალმნენ გაერთიანების გენერალური დირექტორი ა. ა. ნიკიტინი, მკერავი ო. თ. შულეენკო, ბრიგადიერი პ. პ. ნიკოლაშინი.

მიტინგზე გამოვიდა ნგუენ ვან ლინი, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

ნგუენ ვან ლინთან ერთად საწარმოში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ნ. ელცინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი.

* * *

ამავე დღეს ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი შეხვდა საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოების აქტივისტებს.

საბჭოთა კავშირ-საზღვარგარეთის მეგობრობის საზოგადოებათა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვ. ვ. ტერეშკოვამ და სხვა გამოსულმა ამხანაგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საბჭოთა ადამიანები ესწრაფვიან ორი მოძმე ქვეყნის ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას თანამშრომლობის ყველა რეზერვის კიდევ უფრო ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე.

ვიეტნამის კომპარტია, მთავრობა და ხალხი, თქვა ნგუენ ვან ლინმა, დიდად აფასებენ საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოების საქმიანობას, რომელიც დიდმნიშვნელოვან წვლილს მატებს ორი ქვეყნის თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს.

* * *

ნგუენ ვან ლინი ეწვია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას. მან დაათვალიერა პავილიონი „სახალხო მოხმარების საქონელი და მოსახლეობის მომსახურება“.

სტუმართან ერთად იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. ბირიუკოვა, სხვა ოფიციალური პირნი.

21 მაისს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნგუენ ვან ლინი. იგი ჩვენს ქვეყანაში იმყოფებოდა ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

გამგზავრების წინ კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში გაიმართა ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გაცილების საზეიმო ცერემონია.

ნგუენ ვან ლინს გულთბილად გამოეთხოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

* * *

სამშობლოში გაფრენის წინ ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ეწვია მუზეუმს „კრემლში ვ. ი. ლენინის კაბინეტსა და ბინას“ და დატოვა ჩანაწერი საპატიო სტუმართა წიგნში.

* * *

კრემლიდან ავტომანქანების კორტეჟი მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით აეროპორტისაკენ გაემართა.

* * *

აეროდრომზე ნგუენ ვან ლინი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. კ. ლიგაჩოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ნ. ელცინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. პ. ბირიუკოვამ, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

* * *

სამშობლოში გზად მიმავალი ნგუენ ვან ლინი ტაშკენტში შეჩერდა. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

20 მაისს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ა. გრომიკოს თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

განიხილეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით ქალაქ ლენინგრადის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის საკითხი. მოხსენება გააკეთა ლენინგრადის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ი. ხოდირევმა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. თ. სოლოვიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები — რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. პ. ორლოვი, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ს. მ. მუკაშევი.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა ჩელიაბინსკის ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის საკითხი. მოისმინეს ჩელიაბინსკის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ე. თ. კურაკინის მოხსენება. იმ დეპუტატთა სახელით, რომლებიც ადგილებზე ეცნობოდნენ საქმის ვითარებას, ინფორმაცია გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საგეგმო-საბიჯეტო კომისიის წევრმა, სკკპ კურგანის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ნ. პლეხანოვმა.

კამათში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ნ. სლიუნკოვი, სსრ კავშირის ურალისა და დასავლეთ ციმბირის რაიონების მშენებლობის მინისტრი ს. ვ. ბაშილოვი, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრის პირველი მოადგილე ლ. ვ. რადიუკევიჩი.

განხილულ საკითხებზე მიღებული დადგენილებანი პრესაში გამოქვეყნდება.

პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი, მეშვიდე სესიის მოწვევის საკითხი, აგრეთვე სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

დღის წესრიგის განხილვაში მონაწილეობდნენ ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. ელცინი.

(საკდესი).



სურათებზე: ჩასაფიქრებელი როგორ არა აქვს უნივერმაღ „თბილისის“ დირექტორს გურამ ხუნდაძეს; რა ქნას, როგორ გაახალოს დიდი რაოდენობის ჩაწოლილი საქონელი? პირველ კვარტალში დაწუნეს „ისნის“ საწარმოო გაერთიანების მიერ დამზადებული 318 ათასი მანეთის ფეხსაცმელი, რეკლამაციების რაოდენობამ 88, ხოლო ჯარიმამ 51,8 ათასი მანეთი შეადგინა; გაერთიანების საწყობი სავსეა დაწუნებული, დეფექტების გამოსასწორებლად დასაბრუნებელი ფეხსაცმლით; ვის რად უნდა ასეთი ნაწარმი?

ბაზეთ „პრავდის“ 21 მაისის მეთაურ სტატიაში, რომელსაც დღეს ვთავაზობთ გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს, ლაპარაკია იმის თაობაზე, რომ ვაჭრობას კვლავ აწვდიან ნაწარმს, რომელიც არ იყიდება და ჩაწოლილია საწყობებში:

„ასეთივე „ღირსებები“ აქვს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა ბევრი სახეობის საქონელს. მათს დასახლოებით მესამედს იწუნებენ, საწყობებში ამას წინათ დაგროვდა 100 მილიონი მანეთის ნაწარმი. შეიძენენ კი მას მყიდველები, თუნდაც რომ ჩამოაფასონ?“.

პირველად მრავალი წლის განმავლობაში რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სისტემაში მიმდინარე წლის პირველ კვარტალში შემცირდა დაწუნებული პროდუქციის ხვედრითი წილი, მაგრამ იგი მაინც საგრძნობლად აღემატება სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მაჩვენებელს.

თქვენ თავად განსაჯეთ: მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დაიწუნეს და წარმოებას დეფექტების გამოსასწორებლად დაუბრუნეს 37,3 ათასი მეტრი ბამბის ქსოვილი, 5,9 ათასი მეტრი შალის ქსოვილი, 45,3 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი, 203,1 ათასი ცალი შეკერილი ნაწარმი, 182,9 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი და 143,6 ათასი წყვილი ფეხსაცმელი. ე. ი. დაწუნებულია მთელი შემოწმებული ფეხსაცმლის 17 პროცენტი.

ძალიან ხშირად ჩივიან მომხმარებლები ფეხსაცმლის უხარისხობის გამო. რედაქციაში მოაქვთ საჩივნებლად „ისნის“ საწარმოო გაერთიანებისა და სხვა საწარმოების „სანიშნოდ“ შეკერილი ნაწარმი. ბავშვებისა და საერთოდ ყველა ასაკის ადამიანისათვის გამოშვებულ ფეხსაცმელს ძირი ვარდება. ღარიბია სბავშვო ფეხსაცმლის ასორტიმენტი, რაც ხელს აძლევს სპეკულანტებს იმისათვის, რომ მამასისხლად გაყიდონ მოსკოვში, ლენინგრადში, ბალტიისპირეთში შეძენილი სბავშვო ფეხსაცმელი. დადგა ზაფხული, მაგრამ მაღაზიებში ვერ ნახავთ ამ პერიოდისათვის გათვალისწინებულ მამაკაცის ისეთ ფეხსაცმელს, რომელსაც იგი სიამოვნებით ატარებდა.

გთავაზობთ „საქინფორმის“ ფოტორეპორტაჟს თბილისის „ისნის“ საწარმოო გაერთიანებიდან.

XX საკავშირო კინოფესტივალი თბილისში

„ქართული ფილმი“ სტუმრებს მასპინძლობს

კინოსტუდია „ქართული ფილმი“ 21 მაისს თბილისის საკავშირო ფესტივალის მონაწილეებს მასპინძლობდა.

მრავალეროვნული საბჭოთა კინოხელოვნების წარმოგზავნილებთან, მათს საზღვარგარეთელ კოლეგებთან შესახვედრად აქ მოვიდნენ ამხანაგები ჯ. ნ. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, პ. გ. გელაშვილი, ა. ნ. გლურჯიძე, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ვ. მ. სირაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ი. ი. ბოკონი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი რ. ჩხეიძე. მან თქვა:

— იმ კარგ ტრადიციებს შორის, რომლებითაც სამართლიანად ვამაყობთ, არის ჩვენი წინამორბედების ხსოვნის, იმათი ხსოვნის ტრადიცია, ვინც საფუძველი ჩაუყარა ქართულ კინემატოგრაფს, ვინც მისი ჩასახვის სათავეებთან იდგა. მემორიალი, რომელიც დღეს ამ ხეივანში გაიხსნა, კიდევ ერთი გამოვლინებაა ჩვენი უდიდესი მადლიერებისა იმ ადამიანების მიმართ, ვინც ცხოვრება შეალია კინოხელოვნებას.

მატინგზე გამოვიდნენ ქართული კინოს უხუცესი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. სანიშვილი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. გლუზსკი, საქართველოს სახალხო არტისტი ო. კობერიძე.

შეკრებილთ თვალწინ წარმოუდგათ ქართული კინოს პიონერების ვასილ ამაშუკელის, ალექსანდრე წუწუნავას, შალვა დადიანის, ივანე პერესტიანის, კოტე მარჯანიშვილის, ალექსანდრე დიმიტლოვის, ნიკოლოზ შენგელაიას, ნატო ვაჩნაძის, აკაკი ხორავას, სერგო ზაქარაიძის, სპარტაკ ბაღაშვილის, მიხეილ კალატოზიშვილის ქვაში გამოკვეთილი სახეები. მემორიალის ავტორები არიან მოქანდაკე ბ. ავალიშვილი, არქიტექტორები ზ. წერეთელი და გ. აჯიაშვილი.

შემდეგ სტუმრები კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუზეუმის გაზსნაში მონაწილეობდნენ. აქ შეკრებილი ექსპონატები — აფიშები, კოსტიუმები, დეკორაციების ესკიზები, პორტრეტები სტუდიის ეკრანულ მატიანეს ასახავენ. (საკინფორმი).

„პრავდა“. 1987 წ. 21/V.

გონივრულად გავუძღვეთ მეურნეობას

დოგაციიდან მოგებისაკენ

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი ახალი ინტერესებით, მომავლის ეგეგმებით ცხოვრობს. ყველგან, სადაც კი ვიმყოფებ ვესაუბრებით, მთავარი თემა მომავალი რეკონსტრუქციაა ხდებოდა. რესპუბლიკის მძიმე ინდუსტრიის ფლაგმანის ცხოვრების პერსპექტივებსა და ცვლილებებზე ვესაუბრებით ქარხნის დირექტორს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს გ. ჯაშაკაშვილს.

— როგორც იცით — გვეუბნება გ. ჯაშაკაშვილი, — სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო თავის დროზე მკაცრად გააკრიტიკეს დარგის ექსტენსიური განვითარებისათვის, ნაკლებად ეფექტიანი კაპიტალტევადი წარმოებისათვის. თუ ჩვენი საწარმოს პოზიციიდან ვიმსჯელებთ, სამინისტროს კრიტიკამ აშკარად არგო. აბა, თვითონ განსაჯეთ, პირდაპირ ვერ დაითვლით, რამდენი ქაღალდი დასჭირდა იმ აშკარა შეშმარიტების დამტკიცებას, რომ ჩვენი ქარხანა 35 წლის მანძილზე მორალურადაც მოძველდა და ფიზიკურადაც. სწორედ ეს არის ყოველივე უარყოფითის მიზეზი.

რაღა თქმა უნდა, ყოველივე ამის შემდეგ გულწრფელად გაგვახარა სამინისტროდან ამ ცოტა ხნის წინათ მიღებულმა ცხობამ: გადაწყდა ამშენდეს თანამედროვე ელექტროფოლადსადნობი საწარმო, რომელსაც ნამზადების უწყვეტი ჩამოსხმა ექნება.

მაშინ, ალბათ, ვალების გზიდან მოგების გზას დაადგებით?

— რა თქმა უნდა. ყველაზე მოკრძალებული გამოანგარიშებითაც კი, სამუშაოთა სრული დამთავრების შემდეგ წელიწადში 150 მილიონ მანეთზე მეტ წმინდა მოგებას მივიღებთ. ახლა მხოლოდ იმას ვნანობთ, რომ წლები და უზარმაზარი სახსრები მოვახმარეთ ნაირ-ნაირი ხარვეზების „კეშსვას“.

ჩვენი ეკონომიკური მაჩვენებლები განსაკუთრებით გაუარესდა მას შემდეგ, რაც დაშრეტა იწყო საკოქსე ქვანახშირის მარაგმა, რომელსაც რესპუბლიკაში ტყიბულიდან და ტყვარჩელიდან იძლეოდნენ, და რკინის მადანმა — მეზობელი აზერბაიჯანიდან. ახლა მადნისა და კოქსვადი კონცენტრატის ნახევარზე მეტს ყაზახეთიდან და უკრაინიდან ვიღებთ.

— კიდევ რა მოგებას მოუტანს საწარმოს და კოლექტივს მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვა?

— ელექტროფოლადის გამოშვებაზე გადასვლასთან ერთად გაუქმდება ხუთი მოძველებული საამქრო, რომლებმაც დრო მოუკლეს. ეს კი ნიშნავს, რომ ორი ათასამდე მუშაკი გამოთავისუფლდება.

სამი დაგეგმილი ღუმელიდან ერთის ამუშაებაც კი საშუალებას მოგვცემს ალარ ვამუშაოთ ორი მარტენის ღუმელი, აღმოვფხვრათ ამჟამად არსებული დისპროპორციები, ფოლადსადნობი და საგლინავი წარმოების სიმძლავრეთა შორის.

ახალი ელექტროსადნობი ღუმლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს შრომის პირობებს, უზრუნველყოფს გარემოს სიმდიდრეცვას და, რაც მთავარია, მნიშვნელოვნად გაგვაუმჯობესებინებს ფოლადის ხარისხს.

— ყველაფერი — ეს მომავალში. მაგრამ ახალ პირობებში ხომ ალარ შეგიძლიათ „ხესხებით“ განაგრძოთ ცხოვრება. კონკრეტულად რა კეთდება დღეს წარმოების ხარჯების შესამცირებლად და რენტაბელობის გასაზრდელად?

— საწარმო წლების განმავლობაში ებრძოდა სამინისტროს იმისათვის, რომ გაგვეუქმებინა რამდენიმე ძალზე ზარალიანი, არარენტაბელური საამქრო და უბანი. და აი, სამინისტრომ მხოლოდ ახლა გადადგა გამბედული ნაბიჯი, როცა ამაზე დაგვეთანხმა. № 1 ბრძმედის გაჩერების გარდა, ამ ბოლო ხანს გავაჩერეთ ზარალიანი ფურცელსაგლინავი დგანი და ეროთ საკოქსე ბატარეა. ყოველივე ამან 10 მილიონი მანეთი... დაგვიზოგა.

თუ იმის ნებასაც მოგვცემენ, რომ სხვა „ობიექტებიც“ გავაუქმოთ, რომლებიც ჩვენს ეკონომიკას აფერხებენ, მაგალითად, № 2 ბრძმედის და რამდენიმე სხვა ზარალიან უბანს დაგვაკონსერვირებენ, კიდევ 20 მილიონი დაიზოგება. ეს ქარხანას საშუალებას მისცემს პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის დაუქვეითებლად თავი დაიცვიოს ზარალს და მომგებიანი გახდეს.

გ. ლეგანიძე,
(„პრავდის“ კორ.).

უზრუნველყოთ საკვების წლინახევრის მარაგი

(დასასრული)

არადამაკმაყოფილებელი მუშაობის ფაქტებს. სახაგრომრეწვის შესაბამისმა სამსახურებმა (ამხანაგები ვ. დ. კოზაევი, ა. დ. გასანოვი, ნ. ა. გოდაბრელიძე, ო. შ. ცომაია) ვერ მიიღწიეს ქმედითობას იმ უბნების ხელმძღვანელობაში, რომლებსაც მეთაურობენ.

მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების, აფხაზეთის, ასარ და აჭარის ასარ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის უპირველესი ამოცანაა გააძლიერონ მუშაობა მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის, საკვებწარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის IV პლენუმის დადგენილების შესრულების უზრუნველყოფისათვის. ამ მიზნით მათ საზოგადოებრივი მეურნეობების აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა ორგანიზაციებისა და საწარმოების, მათი პირველადი პარტორგანიზაციების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა უნდა წარმართონ იმისათვის, რომ უთუოდ შეასრულონ საკვებწარმოების კომპლექსური მიზნობრივი პროგრამით 1987 წლისათვის გათვალისწინებული დავალებანი.

საკვებწარმოების კომპანიის ორგანიზებული მოწყობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საშუალოთა კოორდინაციისა და ყველა საკითხის ოპერატიული გადაწყვეტისათვის შეიქმნა რესპუბლიკური შტაბი „საკვები-87" საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარის, გ. დ. ბგელაძის ხელმძღვანელობით.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს დაეევალთ გამაძლონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მეცადინეობა მოახმარონ საკვების დამზადების 1987 წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას, ყველა სამუშაოს შემჭიდროებულ ვადებში განხორციელებას. აგროსამრეწველო კომიტეტებთან და გაერთიანებებთან ერთად მათ საზოგადოებრივ მეურნეობებში უნდა უზრუნველყონ, რომ საკვების დამზადების სამუშაოების დროს მოეწყოს ორ-სამცვლიანი მუშაობა, აამოქმედონ მთელი ორგანიზაციულ-ეკონომიკური და სოციალური რეზერვები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ვ. დ. კოზაევის, ა. დ. გასანოვის, ნ. ა. გოდაბრელიძის, ო. შ. ცომაიას ყურადღება მიაპყრო იმის, რომ საჭიროა გარდაქმნან მუშაობა, გაზარდონ რესპუბლიკის სახაგრომრეწვის, აგროსამრეწველო გაერთიანებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალისტთა პასუხისმგებლობა მეცხოველეობის აღმავლობისა და მისი საკვები ბაზის განმტკიცებისათვის. ისინი გააფრთხილეს, რომ პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის IV პლენუმის მიერ დამტკიცებული ყველა დავალების მთლიანად და დროულად შესრულებისათვის.

საქართველოს პროფსაბჭოს, ალკკ ცენტრალურ კომიტეტს დაევალათ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებთან ერთად მიიღონ შესაბამისი ზომები საკვებდამზადებელთა და ფერმების მუშაკთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. მეცხოველეობასა და საკვებწარმოებაში ახალგაზრდობის დამკვიდრების, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისათვის, რათა მიაღწიონ ჩინებულ საწარმოო მაჩვენებლებს.

საქონფორმმა, საქართველოს სსრ სახტელერადიომ, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რიდაქციებმა დღენიადაგ და ყოველმხრივ უნდა გააშუქონ 1987 წლის საკვებდამზადების კამპანიის მიმდინარეობა, პროპაგანდა გაუწიონ მუშაობის დადებითს გამოცდილებას, პრინციპულად და საქმიანად გამოაშლინონ ხარვეზები და შეცდომები მუშაობაში.

(საქინფორმი).

განვიხილავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს

წინადადებები, მოსაზრებები

◆ **ამჟამინდელობისად** მიმაჩნია კომუნისტთა პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით სასწავლო წლის დასასრულს შევადგინოთ ყველა მსმენელი კომუნისტის დასასაითება მისი მომზადების, ზოგადი პოლიტიკური ცოდნის დონის შესახებ.

პროექტის შესუთე თავში საუბარია სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ვიდეოკასეტების, ტელე და კინოპარატურის გამოყენების შესახებ. სწავლების ეს ფორმა საინტერესო და შედეგიანი იქნება, კარგი იქნება აგრეთვე მსმენელებს მივაწოდოთ ინფორმაცია საზღვარგარეთის წამყვანი ქვეყნების მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, კულტურის სიახლეების შესახებ, გავუშიაროთ ჩვენი ქვეყნის მოწინავე სანარმოთა გამოცდილება, ვუჩვენოთ, თუ რა გზებით, რის ხარჯზეა მიღწეული წარმატება. ამ შემთხვევაში მეცადინეობა საინტერესო დიალოგის ფორმას მიიღებს და მსმენელს უთუოდ დაინტერესებს.

ო. უხურგუნაშვილი,
ქახპის „ელექტროაპარატის" ქარხნის პროპაგანდისტი.

◆ **სკკპ** ცენტრალური კომიტეტის პროექტის განხილვისას შორაპნის „ელექტროელემენტის" ქარხანაში პროპაგანდისტებმა რამდენიმე წინადადება წამოაყენეს, კერძოდ:

მშრომელთა თეორიული მომზადების, მათი ცოდნის დონის ამაღლებისათვის პროექტის მეორე განყოფილებაში სასწავლო კურსებს დეტალურ ახალი კურსი — სსრ კავშირში მმართველობის სტრუქტურა, მისი დანვეწისა და სრულყოფისათვის გაწეული მუშაობა.

კიდევ: უმჯობესი იქნება, თუ ახალი სასწავლო წლიდან პარტიული და კომკავშირული პოლიტსკოლები გაერთიანდება და მათთვის ერთიანი პროგრამა შემუშავდება.

კ. შარპაძე,
ზესტაფონის რაიონის შორაპნის „ელექტროელემენტის" ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

◆ **პროექტის** თავში საუბარია კადრების პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე ეკონომიკური მომზადების უწყვეტი გაუმჯობესებისათვის, იმაზე, რომ კვალიფიციური თანრიგებისა და კლასის მომატება, ატესტაცია, თანამდებობრივი გადაადგილება და მუშაკთა შრომის ანაზღაურება მჭიდროდ უკავშირდებოდეს მათი ცოდნის ხარისხსა და პრაქტიკული გამოყენების აქტიურობას, რომ საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის შრომსახკომმა საჭირო ცვლილებები უნდა შეიტანონ სატარიფო კვალიფიციურ ცნობარებში და სხვა დოკუმენტებში, რომლებიც ამ საკითხების გადაწყვეტას არეგლამენტებენ. ჩემი აზრით, სასურველია შრომის კანონის კოდექსშიც გათვალისწინებული იქნეს შესაბამისი ცვლილებებისა თუ დამატებების შეტანა.

ჯ. ქოჩიაშვილი,
თერჯოლის რაიონის ჩხარის იატკის ფილების ქარხნის დირექტორი, პროპაგანდისტი.

მექანიზატორები სიმინდს თესავენ

ბეჯითად შრომობენ ხობის რაიონის სოფელ საჯიჯოს ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორები, რომლებიც თესავენ სამარცვლე სიმინდს. 310 ჰექტარს დაიკავებს წელს ეს კულტურა, აქედან 175 ჰექტარს დაამუშავებენ ინტენსიური ტექნოლოგიის მეთოდით.

ჩემინდვრეებს გათვალისწინებული აქვთ თითოეულ ჰექტარზე მიიღონ 80 ცენტნერი სიმინდის მარცვალი.

სურათზე: სამარცვლე სიმინდის თესვა ხობის რაიონის სოფელ საჯიჯოს კოლმეურნეობაში.

ვ. შარაშენიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების ორმოცდაათ წლეთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის გულრიფშის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. როინ ვლადიმერის ძე **კვანტალიანი** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის გულრიფშის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **ალფენიძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **საპატიო სიგელით.**

ᲐᲒᲠᲝᲛᲠᲔᲦᲕᲘ: ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲬᲐᲮᲜᲐᲒᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

კვლავაც ბევრია გასაკეთებელი

ᲘᲣᲜᲘ დრო, თიანეთის რაიონში შემცირდა წარმოება, ერთბაშად დაკვეთილა ეკონომიკა. შეიქმნა დამნაშავეთა დიდი ჯგუფი, რომელშიც ხელმძღვანელი პარტიული მუშაკებიც აღმოჩნდნენ, ე. წ. „ახალის საქმემ" საბოლოოდ გაუტეხა სახელი რაიონს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პრინციპულად შეაფასა რაიონის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა. ხელმძღვანელობა მთლიანად შეიცვალა.

პარტიული ორგანიზაცია ახალი მოთხოვნილებისამებრ შეუდგა მუშაობას. ძნელი იყო შელახული ავტორიტეტის აღდგენა, მაგრამ მონდომებამ თავისი გაიტანა. როგორც სკკპ XXVII ყრილობამ მიუთითა, რაიკომმა ორიენტირად დაისახა წესრიგი, საჯაროობა, დემოკრატიზმი და პასუხისმგებლობა. გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამ გზაზე.

ახალსოფლის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა ათი წლისაა. იგი სამი წამგებიანი კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა. თავდაპირველ ვერ მოხერხდა მუშაობის ნორმალურად წარმართვა. მინდორი და ფერმები შესაძლებლობაზე ბევრად ნაკლებ პროდუქციას იძლეოდა, იზრდებოდა სახელმწიფო ვალები. ეს გარემოება გავლენას ახდენდა არა მარტო ეკონომიკაზე, არამედ კოლექტივის მორალურ კლიმატზეც.

პარტიის თიანეთის რაიკომმა საფუძვლიანად შეისწავლა ნამდვილი ვითარება, შეიმუშავა მოქმედების კონკრეტული პროგრამა, რომელსაც ძირფესვიანად უნდა შეეცვალა შექმნილი მდგომარეობა. უნიათო ხელმძღვანელები შეიცვალეს. მეურნეობის საქმე გამოცდილ პარტიულ და სამეურნეო მუშაკს ვ. გოდერძიშვილს მიანდეს, კომუნისტებმა თავიანთ წინამძღოლად ზ. დოლიაშვილი აირჩიეს.

მეურნეობის დირექცია და პარტიული კომიტეტი შეუდგნენ საკითხების ერთობლივად გადაწყვეტას, რომელიც ითვალისწინებდა მეცხიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და ფეხოვანებებზე ფერმების შემცირებას, შრომის ნაყოფიერების გაზრდას, წარმოებაში მეცნიერების მიღწევების, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფას.

ახალსოფლელმა კომუნისტებმა უარი თქვეს საქმისადმი ძველებურ მიდგომაზე, დაიწყეს მცირედიდან და თანდათანობით ზრდიან მიღწეულს, გაასკეცეს მუშაობა, გაზარდეს ფონდუკუვება, მიაღწიეს ყველა რგოლის ეფექტიანობას, რეზერვების მაქსიმალურ ამოქმედებას. ამჟამად თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთ წელიწადში უფრო მეტი გაკეთდა, ვიდრე მთლიანად განელილ პერიოდში. ერთი სიტყვით, მეურნეობის საქმეები კარგად აეწყო. ეს კი იმის გარანტია, რომ კოლექტივი, რომლის სასოფლო-სამეურნეო საკარგულები 5400 ჰექტარია, ხოლო მისი ბატონ-პატრონი — 850 ოჯახი, შემდგომში კიდევ უფრო განიმტკიცებს პოზიციებს, საფინანსო-ეკონომიკურ მდგომარეობას.

წინათ პარტიულ კომიტეტს კომუნისტები მეტწილად პირად საკითხებზე მიმართავდნენ. უკანასკნელ ხანს საუბარი უფრო ხშირად ეხება საზოგადოებრივ პრობლემებს, სამეურნეო საქმიანობის გარდაქმნას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციას, მეუნიერებათა ეკონომიკის განმტკიცებას. ეს კი კოლექტივისა და პიროვნების ინტერესების დაახლოებაზე მეტყველებს. ეს პროცესი სტიქიური როდია, იგი მოამზადეს სკკპ XXVII ყრილობამ და მისმა შემდგომმა პლენუმებმა. მაგალითად, ორხევის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის კომუნისტებმა ერთ-ერთ კრებაზე განაცხადეს, გატკეპნილი გზით სიარული არ გვარგებსო. წლების მანძილზე ვთესავთ ერთი და იგივე ჯიშის — „უფეხო-1" ხორბალს, რომელიც თავის დროზე მართლაც სანმუშო იყო, მაგრამ ახლა არის მასზე უკეთესი ჯიშები. კრებაზე გამოირკვა, რომ თურმე ეს საკითხი ყველას აღელვებს, მაგრამ აქამდე ინიციატივა არავის გამოუჩენია. ახლა კი წინადადება ყველამ ერთსულოვნად მოიწონა და პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა. მარშან მეურნეობაში დიდ ფართობზე დათესეს ქართული უხვმოსავლიანი სელექციური ჯიშის ხორბალი „დედა" და ჰექტარზე საშუალოდ 43 ცენტნერი მოიწიეს. ეს მაჩვენებელი სარეკორდოა არა მარტო თიანეთის მთიანი ზონისათვის, არამედ მთელი რესპუბლიკისათვისაც. რაიონის პარტიული ორგანიზაციები ასეთი ინიციატივის წამამწყებნი ახლა ხშირად არიან. სიმონიანთხევის კოლმეურნეობის კომუნისტები საქმეს სათავეში ჩაუდგნენ, შემოტანეს სელექციური ჯიშის „თბილისური-8" ხორბლის თესლი და 40 ჰექტარზე დათესეს. თითოეულმა ჰექტარმა მეურნეობას 41 ცენტნერი მისცა. ასე მიიღო ცხოვრების საგზური აგრეთვე ხორბლის ძვირფასმა ჯიშმა „ტრიტიკალემ", ლობიომ „მუხრანულმა" და „ატოცურმა", სასილოსე სიმინდმა „ივერიამ" და „მრავალტაროიანმა", რომლის თესლსაც ახლა ადგილზე აწარმოებენ.

გატარებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად წასწია რაიონის მაჩვენებლები, გაუმჯობესდა მეურნეობათა საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა. წინსვლა განსაკუთრებით დაეტყო მეურნეობის წამყვან დარგს — მეცხოველეობას.

პარტიული ორგანიზაციები მუშაობას იმდაგვარად წარმართავენ, რომ თითოეულმა ჰექტარმა რაც შეიძლება მეტი უკუგება მოგვცეს. უმჯობესდება ბუნებრივი სათიბ-საძოვრების სტრუქტურა, მათი ეფსპლოატაციის გაუმჯობესების მიზნით მთებში საავტომობილო გზები იკრება. გასულ შემოდგომასა და ამ გაზაფხულზე 700 ჰექტარით გაიხარდა მრავალწლოვანი და ერთწლოვანი ბალახების თესვა. რაიონი თავისი ირსებობის ისტორიაში პირველად შეუდგა მცირე ირიგაციას. მაგალითად, ახალსოფლის საბჭოთა მეურნეობამ ივრით გაასარწყავა 280 ჰექტარი, რომლის ას ჰექტარზე დათესეს მრავალწლოვანი ბალახები, დანარჩენზე — ერთწლოვანი. მთელი ფართობი სამჯერ გაითიბება და მთლიანად გადაწყდება საკვების პრობლემა. ახალსოფლელებს სხვა მეურნეობებზეც გამოუჩნდნენ მიმდევრები. ტყვარების საბჭოთა მეურნეობაში 150 ჰექტარი გასარწყავდა და ითესა იჯარული ბრიგადა, რომელსაც ეთერ წვეროშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადას ცენტნერი ხორცის წარმოება ბევრად ნაკლები უჯდება, ვიდრე ჩვეულებრივ ბრიგადებს, გგმასთან შედარებით კი შარშან 2 მანეთით შეამცირეს. ამჟამად რაიონში 43 იჯარული ბრიგადა მუშაობს. ძალიან ცოტაა. ეს იციან რაიონში და სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციები ყველაფერს ღონობენ, რათა მათი რიცხვი გამრავლდეს. ფართო გზა უნდა მიეცეს აგრეთვე საოჯახო იჯარას, რომელიც, რატომღაც, რაიონში ნაკლებად გავრცელებული ფორმაა.

პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ზრდას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობის ახლებურად მოწყობა, საწარმოების, მინდვრებისა და ფერმების მშრომელთა იდეური უზრუნველყოფა. კარგი გავლენა მოახდინა ადამიანებზე „რაიკომის დღემ" ანუ „ერთი დღე პირველად პარტიულ ორგანიზაციაში". იგი საჯაროობის სარკედ იქცა. ეს ფორმა ნაცნობია, მაგრამ პარტიის თიანეთის რაიკომში იგი სრულიად ახლებურად წარმართეს. აზრი ასეთია: განსაზღვრულ დღეს გათვალისწინებული გრაფიკით ერთ-ერთ სოფელში მიეგზავრებიან რაიკომის ბიუროს წევრები, რაიკომისა და რაიისაბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები, რაიონული სამსახურების სხვა ხელმძღვანელები, ამ დღემდე ორი კვირით ადრე ბრიგადებში, ფერმებში, სხვა თვალსაჩინო ადგილებში აკრავენ განცხადებას აღნიშნული ღონისძიების შესახებ, აგრეთვე ჰკიდებენ აუთვეს წერილების, განცხადებებისა და საჩივრებისათვის. აღძრულ საკითხებს პასუხს აცემენ რაიონის ხელმძღვანელები. ამრიგად, საჯაროდ, ყველას წინაშე იმართება ცხარე საუბარი... ამ შემთხვევაში გარდა იმისა, რომ ოპერატიულად წყდება საკითხები, მშრომელებსაც აღარ ეკარგებათ დრო რაიონულ ცენტრში სიარულისათვის.

დიდ როლს ასრულებს კომუნისტების, განსაკუთრებით კომუნისტი ხელმძღვანელების ანგარიშების მოსმენა პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომებზე, პლენუმებზე, სადაც ობიექტურ შეფასებას აძლევენ მათს საქმიანობას. რაიკომის ბიუროს სხდომაზე სამეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის თავმჯდომარის ვ. მგელიაშვილის ანგარიშის მოსმენისას აღინიშნა, რომ ამ ორგანიზაციამ სადღეისო მოთხოვნების დონეზე ვერ გარდაქმნა მშენებლობის სისტემა, ირღვევა მშენებლობის ვადები, მდარეა ხარისხი. ბიურომ სამშენებლო ორგანიზაციას და მის პარტიულ ორგანიზაციას დაავალა არჩევნები. ასე აირჩიეს, მაგალითად, მეინდაურეობის ფაბრიკის დირექტორი გ. ბებნაური, აგგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორი გ. ქაცანაშვილი, ნეკოსურთსოფლის სახალხო დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. წიწაკიშვილი, ღულელების საშუალო სკოლის დირექტორი თ. კკოპშვილი და სხვები, რომლებსაც რამდენიმე ძლიერი მეტოქე ჰყავდათ. მშრომელები არჩევანში არც შემცდარან. არჩევითობის ამ პრინციპმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ მოიკიდა ფეხი და ყველანი კმაყოფილი არიან, ყველას სჯერა, რომ ამიერიდან ნაკლები იქნება შეცდომები ხელმძღვანელი კადრების შერჩევაში.

პარტიული ორგანიზაციების ავტორიტეტის ზრდაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ აღგილებზე ბევრი კარგი მუშაკია, რომელთაც სურთ კომუნისტური პარტიის რიგებში შესვლა. პარტიული ორგანიზაციები მომავალ კომუნისტებთან ნაყოფიერად მუშაობენ, აერთიანებენ პოლიტგანათლების სისტემაში, აძლევენ ერთდროულ და მუდმივ დავალებებს. ვინც წარმატებით ჩაბარებს გამოცდას, პარტიის რიგებში იღებენ. ეს მაღალი ღირსება ასე დაიმსახურეს, მაგალითად, ჩეკურაანთგორის კოლმეურნეობის მწველავმა ლ. ბატურაშვილმა, ერწოს საბჭოთა მეურნეობის მწველავებმა ლ. სიმონიშვილმა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრმა მ. ბურდულმა და სხვ.

დიდი ძვრებია რაიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. მარტო ის ფაქტი, რომ ერთდროულად მიმდინარეობს თიანეთა-ახმეტისა და თიანეთ-ბოდბისის საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-შეკეთება და თიანეთ-ყინწვალის საავტომობილო გზის მშენებლობა, ერთ-ერთ-ია, [illegible] ასევე დიდი მნიშვნელობა [illegible] რაიონის სახალხო მეურნეობისათვის, ბევრის თქმელია. რაიონს ამ საქმეში ენერგიულად ეხმარება რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტრო, რომელიც ახორციელებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას თიანეთის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ. შენდება აგრეთვე 200-სწოლიანი საავადმყოფო, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სპორტული დარბაზი, ეკბატის საბავშვო ბაგა-ბაღი, სამონიანთხევისა და ახალსოფლის სასოფლო საჭოს აღმასკომების ადმინისტრაციული შენობები, მიმდინარეობს კულტურისა და დასვენების პარკის, დაბის ქუჩების რეკონსტრუქციის სამუშაოები. მალე საფუძველი ჩაეყრება სტამბა-რედაქციის, მუსიკალური სკოლის, რაიაარქივის და სხვა ნაგებობებს.

მაგრამ რაიონში კვლავაც ბევრია გადასაჭრელი პრობლემა. იგი განსაკუთრებით ღარიბია საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთი რიგიანი აბანოც კი არა აქვთ. საყოფაცხოვრებო მომსახურების გარეშეა დარჩენილი მთელი რიგი დიდი სოფლები, მათ შორის მეურნეობათა ცენტრები. მაგალითად, ახალსოფელში საყოფაცხოვრებო მომსახურების არც ერთი ობიექტი არ არის. თუმცა გეგმით 1989 წლიდან უნდა დაიწყოს დება თიანეთის ჰიგიენის სახლის მშენებლობა, მგრამ ეს ძალიან გვიან არის, რაც უნდა გაითვალისწინონ რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მუშაკებმა, რომლებიც თიანეთს მაინცდამაინც ყურადღებით არ ანებივრებენ. კარგი იქნება, თუ ცკკავშირის ხელმძღვანელობა იზრუნებს ახალგაზრდული კაფეს მშენებლობისათვის, რომელიც გეგმით აქამდე უნდა აშენებულიყო. რაიონში, მართალია, მოქმედებს სამრეწველო საწარმოთა ორი ფილიალი, მაგრამ იგი სრულებით არ არის საკმარისი შრომითი რესურსების გამოსაყენებლად. თიანეთის რაიონში ზამთარი ხანგრძლივი იცის, მოსახლეობა 5-6 თვის განმავლობაში ვერსად მუშაობს, გარდა ფერმებისა, საჭიროა გამოინახოს გზა, რათა ამ პერიოდში ისინი დავასაქმოთ. ეს აღკვეთავს მიგრაციასაც, რომელიც გრძელდება, ბევრი მთიელი ტოვებს მშობლიურ კერას.

თიანეთის რაიონის პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები აძლიერებენ მუშაობას ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, პარტიის მიერ დასახული გეგმების რეალიზაციისათვის. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ რაიონმა დაიბრუნოს მოწინავე პოზიციები.

დ. ბიწაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მთავარია საგოლოო შედეგი

ებრივ მეურნეობაში კოლექტიური იჯარით მემცენარეობის 211 საწარმოო ბრიგადიდან მუშაობდა 51 ბრიგადა. მეცხოველეობაში — 21 ბრიგადიდან 20. დამზადებული ჩაის 43,4 პროცენტი, ანუ 14.728 ტონა, კოლექტიური იჯარით მომუშავე ბრიგადებმა და რგოლებმა მოკრიფეს. რა თქმა უნდა, ეს ურიგო არ არის, მაგრამ არც საკმარისია. გართულდა მეჩაიეობაში (საერთოდ მემცენარეობაში) კოლექტიურ იჯარაზე გადასვლა. წლეულს ამ მხრივ წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები შევასრულეთ. ამასთან უნდა დავძინო, რომ მეტად ეფექტიანი გამოდგა ოჯახური იჯარა.

შარშან ოჯახურ იჯარაში ჩაბმული იყო საზოგადოებრივი მეურნეობების 2.419 ოჯახი. სიმინდის, სოიის და ლობიოს უხვი მოსავალი სწორედ მთლიანად ოჯახური იჯარის წევრებმა მოიწიეს. საკვებწარმოებაში დასაქმებულ ლ. მუშახელის 81 პროცენტი ოჯახური იჯარით მუშაობს. მეცხოველეობის ფერმებში რძეს და ხორცს მთლიანად ამ მეთოდით ამზადებენ. ამ და სხვა სიახლეების დანერგვამ, მეცნიერებთან მჭიდრო კონტაქტმა კარგი ნაყოფი გამოიღო და ამის შედეგიც არის, რომ ჩვენმა რაიონმა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა.

სოფელ მიქავას უტუ მიქავას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — ლ. კვარაცხელია) მეორე წელია ოჯახური იჯარით მუშაობენ მესიმინდეები, მებოსტნეები, მეცხოველეები, საკვებმომპოვებლები. ამ პროგრესული მეთოდის დანერგვამ განამტკიცა შრომის დისციპლინა, გაძლიერა თითოეული კოლმეურნის, ოჯახისა და მისი წევრების პირადი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, შედეგად მკვეთრად გაიზარდა წარმოების მოცულობა და შრომის ანაზღაურება.

განსაკუთრებით საამაყოა მეცხოველეთა საქმიანობა. მეცხოველეობა აქ წლების განმავლობაში, როგორც იტყვიან, სულს დაფავდა. მცირემოწყინა სოფელში ჩაის კულტურის შემდეგ მიწის სავარგულები არ ჰყოფნიდათ საკვები კულტურების წარმოებისათვის. არადა, სხვა რაიონებიდან შემოტანილი საკვები ამცირებდა პროდუქციას. ინტენსიფიკაციის გზით, ოჯახური იჯარით მალე ამ დარგის ჩამორჩენას დაძლევენ. წლეულ იანვარ-მარტში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად იმატა ხორცისა და რძის წარმოებამ. და ეს საოჯახო იჯარის შედეგია.

ოჯახური იჯარით მომუშავე საკვებმომპოვებლებმა მეცხოველეობის ფერმებს შარშან 710 ტონა მზა სილოსი, 116 ტონა ტურნეფსი, 389 ტონა მრავალწლოვანი ბალახი, დიდძალი რაოდენობით შვრიის მწვანე მასა დაუმზადეს.

ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲐ

ᲐᲒᲠᲝᲛᲠᲔᲦᲕᲘ: ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ ● ᲝᲯᲐᲮᲣᲠᲘ ᲘᲯᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ორგანიზაციის ოჯახური ფორმა თავისი არსით კოლექტიური იჯარის ნაირსახეობაა. მისი ფუნქციაა მხოლოდ იმ სამუშაოების შესრულება, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ პროდუქციის წარმოებასთან. პროდუქციის რეალიზაციას, წარმოების პროცესის მატერიალური საშუალებებით უზრუნველყოფას, მომსახურებას უშუალოდ კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა ახორციელებს.

კოლექტიური იჯარის ოჯახური ფორმების ფართოდ გამოყენების აუცილებლობა ნაკარნახევია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკურობით — წლის გარკვეულ პერიოდში შესვენებებით ან პირიქით, ძალების დარაზმვის აუცილებლობით. ოჯახური იჯარა საზოგადოების ინტერესებს უპასუხებს იმით, რომ მატერიალური დოვლათის შესაქმნელად მოიხმარს ისეთ რესურსებს, რომელთა გამოყენება საზოგადოებრივ მეურნეობებში ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული, ამასთან ხელს უწყობს მუშახელის ადგილზე დამკვიდრებას.

იჯარის პრინციპებით ოჯახური კოლექტივების ფორმირება შაბლონი არ არის. ამგვარ ოჯარაში შესაძლოა გაერთიანდეს ორი ან სამი ოჯახი ან რამდენიმე ახლობელი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ოჯახურ იჯარასთან, არამედ კოლექტიური იჯარის ოჯახურ საწყისებთან. კოლექტიურ იჯარასა და ოჯახურ იჯარას შორის შეინიშნება ისეთივე განსხვავება, როგორიც არსებობს შრომის ორგანიზაციის ჭვრილ ჯგუფურ და მსხვილჯგუფურ ფორმებს შორის.

ოჯახური იჯარა ხელსაყრელია იქ, სადაც ბრიგადებისათვის მიჩენილი ფართობები ჭვრილკონტურიანი, გაფანტული და მთაგორიანია, სადაც საწარმოო პროცესები ძირითადად ხელით სრულდება. ამდენად, ოჯახური იჯარა, როგორც შრომის ორგანიზაციის ჭვრილჯგუფური ფორმა, შეიცავს, როგორც წმინდასამეურნეოანგარიშიანი კოლექტიური იჯარის, ისე გაპიროვნებისა და საზოგადოებრივ მეურნეობებთან პირადი დამხმარე მეურნეობების კოოპერირების ელემენტებს.

ზოგიერთი ხელმძღვანელი უმართებულოდ კატეგორიულად მოითხოვს ბრიგადული იჯარის შიგნით მოსპოს ოჯახური და პირადი იჯარა. მაგალითად, დმანისის რაიონში თვით საიჯარო ბრიგადების შიგნით გაპიროვნების თავიდან აცილების მიზნით იქმედეც კი მიიდნენ, რომ შრომის ორგანიზაციის ძირითად ფორმას — მუდმივმოქმედ საწარმოო ბრიგადებს სახელწოდება შეუცვალეს და რგოლები დაარქვეს. ჩვენი აზრით, სადაც ეს შესაძლებელია, თავი არ უნდა შეეკაოთ თვით საიჯარო ბრიგადის შიგნით ნაკვეთებისა და პიროტყვის გაპიროვნებისა გან ოჯახური და პირადი იჯარის სახით, როგორც ეს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ხდება. ეს ხელს შეუწყობს სოფლად ოჯახის ყველა წევრის სამუშაოთი უზრუნველყოფას.

ოჯახური ოჯახის წევრები წარმოების პროცესში არა მარტო ბეჯითად შრომობენ, არამედ აქტიურადაც მონაწილეობენ რგოლის მართვაში, საქმისადმი მანამდე უჩვეულო დამოკიდებულებას იჩენენ. ავიღოთ თუნდაც ასეთი მაგალითი. სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის კოლმეურნეობამ დიდი სიმეჩხრის გამო ჩამოწერა მსმობიარე 8-წლიანი 36 ჰექტარი ვენახი და ამავე რაიონის მეცხვარეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით გადასცა. ამ საწარმოს მუშამ ქიტეს დემეტრაშვილმა კი დირექციას სთხოვა მოუვლელობისაგან გაპარტახებული ვენახი მისი ოჯახისათვის გაეპიროვნებინათ ოჯარის წესით, რათა შპალერის ხელახლა მოწყობითა და ვაზის მხრის გაგრძელებით ზვარი ზვარს დამსგავსებოდა. დირექცია დათანხმდა. ვენახში მეკანიზებული სამუშაოების შესასრულებლად ოჯახს გამოეყო ორი ტრაქტორი, საჭირო მისაბმელი მანქანა-იარაღებით და მატერიალური საშუალებები.

დემეტრაშვილების ოჯახმა ხელშეკრულების დადების პირველსავე წელს დანაპირები 50 ტონის ნაცვლად 67 ტონა

უკსიპეთი
ფაქტები • მოვლენები

არქეოლოგიის მეცნიერების ახალი დიდი პერსპექტივები

მიმდინარე წლის 5 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შემდგომი განვითარების, არქეოლოგიის დაწესებულებებისა და ექსპედიციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოში არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში განვითარების ახალი ფაზა დაიწყო. ათობით წლების მანძილზე წარმოებული ფართო გათხრითი სამუშაოების შედეგად დაგროვილმა არქეოლოგიურმა მასალამ, მისმა მეცნიერულმა შესწავლამ მრავალი უმნიშვნელოვანესი პრობლემის ახლებური გააზრების აუცილებლობის საკითხი დააყენა. არქეოლოგიის მეცნიერების განვითარების ამ ეტაპზე საქართველოს ძალთა დიდი კონცენტრაცია, რათა დღევანდელობის მოთხოვნათა დონეზე მართებულად იყოს გაანალიზებული მრავალი საკვანძო პრობლემა. საქართველოს საფუძვლიანად გავაანალიზოთ, რამდენად ეფექტიანია ჩვენში არქეოლოგიური კვლევა-ძიების მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული სისტემა, რა მოითხოვს გარდაქმნასა და განახლებას. ამ მხრივ აუცილებელია დიდი მუშაობა, რათა თვით არქეოლოგებმა მიიღონ მთავარი გადაწყვეტილებანი.

ჩვენს რესპუბლიკაში არქეოლოგიური სამუშაოები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განსაკუთრებული ყურადღების სფეროშია მოქცეული. ამას ნათლად მოწმობს არქეოლოგიური კვლევის მასშტაბები და თუნდაც ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა საგულისხმო არქეოლოგიურ ობიექტს ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელები, პირადად ამხ. ჯ. ი. პატიაშვილი, ყოველწლიურად ეცნობიან, ითვალისწინებენ არქეოლოგთა ყველა საჭიროებას და შემდგომ ყოველმხრივი ქმედითი დახმარებით უწყობენ ხელს მუშაობაში. ეს არ არის მხოლოდ ფაქტის კონსტატაცია. ამ ვითარებაში, ბუნებრივია, რომ ქართველმა არქეოლოგებმა მადლიერება საჯაროდ გამოთქვან იმის გამოც, რომ ეს ზრუნვა და მხარდაჭერა სულ უფრო კონკრეტული და საქმიანი ხდება.

ზემოაღნიშნული დადგენილების მიღებამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ამხანაგები, ცალკეულ უწყებათა და სამინისტროთა წარმომადგენლები, მეცნიერები, მწერლები. გაიმართა გულახდილი და უაღრესად საქმიანი საუბარი არქეოლოგიის მეცნიერების განვითარების ძირითად მიმართულებებზე და დაისახა კონკრეტული გზები მათი განხორციელებისათვის, რომლის შედეგად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიღებულ იქნა დადგენილება, რომელიც უდიდეს პერსპექტივებს უსახავს არქეოლოგიის მეცნიერებას, საერთოდ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებას და ასევე დიდ მოთხოვნებს უყენებს მათ.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოვლენილია და შეისწავლება კაცობრიობის ისტორიის ყველა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ არა მარტო საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, არამედ მთელი წინა აზიის უძველესი წარსულის შესასწავლად. დადგენილება გვავალებს შევიმუშაოთ რესპუბლიკაში არქეოლოგიური კვლევა-ძიების 1988-2005 წლების პერსპექტიული გეგმა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ალბითისა და სვანეთის, ჭალაქების თბილისისა და ქუთაისის არქეოლოგიური კვლევა-ძიების გეგმების იმგვარად შედგენას, რომ ისინი ორგანულად იყოს დაკავშირებული აღნიშნული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებთან. დადგენილებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შემდგომ განვითარებას, იქ მომუშავე ექსპედიციების მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას და რესპუბლიკის არქეოლოგიის დაწესებულებების ერთობლივი კვლევა-ძიების ფორმად გაშლას აღნიშნულ რეგიონებში. დადგენილება ითვალისწინებს თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხს: ექსპედიციების სარჩოო სახსრებით დაფინანსებას, მათს მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, ბაზების შექმნასა და კეთილმოწყობას, საგამომცემლო საქმის ძირეულ გარდაქმნას და არქეოლოგიური ნაშრომების პუბლიკაციისათვის საჭირო საგამომცემლო თაბახების საგრძნობლად გაზრდას, ახალგაზრდა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას და სხვა. ერთი სიტყვით, დადგენილება ჩვენი კვლევა-ძიების ყოველ მხარეს შეეხო და იგი რესპუბლიკის ყველა არქეოლოგმა და არქეოლოგიის დაწესებულებამ ხანგრძლივი მუშაობის საპროგრამო დოკუმენტად აღიქვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უშუალო მხარდაჭერითა და მითითებით კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციების ყველა წევრი, გეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად, ეს ერთი თვეა აწარმოებს საველე სამუშაოებს, რათა გაირკვეს, რამდენად სწორია ვარაუდი იმის შესახებ, რომ უდაბნოში ერთ დროს მაღალგანვითარებული ცივილიზაცია იყო. შედეგმაც არ დააყოვნა: დავით გარეჯის უდაბნოში, ნამოსახლართა მახლობლად, რომლებიც თავდაპირველად მეტალურგთა დასახლებად იქნა მიჩნეული, აღმოჩნდა რკინის მდიდარი საბადოები. მადანგამოვლენის ზოლი იმდენად დიდია, რომ, გეოლოგ თ. მგელიაშვილის აზრით, მომავალში, მასალის ლაბორატორიული შესწავლის შემდგომ, არ არის გამორიცხული ვიმსჯელოთ მის თანამედროვე პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. ამგვარად, ერთხელ კიდევ დადასტურდა არქეოლოგიურ ძეგლთა კომპლექსური კვლევის ეფექტიანობა.

უპრეცედენტო შემთხვევაა უდაბნოში ერთ-ერთი მადანგამოვლენების თითქმის მთელ ზოლზე უძველესი ღია გამონამუშევრების აღმოჩენა, რომლებიც აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალით წინასწარულად ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი საუკუნეებით თარიღდება. აღსანიშნავი, რომ ძველი გამონამუშევრების ფარგლებში უფრო ადრეული ან გვიანი მასალები სრულიად არ ჩანს. ამდენად, უდაბნოს აღნიშნული რკინის კარიერები ჯერჯერობით უძველესია კავკასიაში.

აქვე, რკინის გამადნების ზოლში, ნამოსახლარებთან ან მათგან დაცილებით, დაფიქსირდა ლითონის არაერთი დიდი საწარმოო უბნის არსებობა — შაჯი კლდის ნამოსახლართან, ჩამძერალი ხევის ნამოსახლართან, მრავალწყლის ხეობაში, ნაცვალწყლის ხეობაში და სხვა.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ უდაბნოში ფართო მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები ჯერ არ დაწყებულა, აქ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში არსებული მაღალგანვითარებული ცივილიზაციის სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველზე თამამად შეიძლება ლაპარაკი, ეს კი ამ რეგიონში დაწყებულ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას უაღრესად პერსპექტიულს ხდის.

და, ბოლოს, ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა კვლავ დაუბრუნდე საკითხს, რომლის შესახებ საუბარი იყო გაზეთ „თბილისს“ ამა წლის 29 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული ჩემი ინტერვიუს დასკვნით ნაწილში, კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის პრობლემას რომ ეხებოდა. კატეგორიულად მინდა განვაცხადო, რომ იქ ჩემი პოზიციის რამდენადმე თავისუფალი ინტერპრეტაციაა მოცემული და, ამდენად, მოვალეობად ვთვლი, თვითონ, უკორესპონდენტოდ, გამოვთქვა ჩემი დამოკიდებულება პრობლემისადმი, როგორც ბოლო ხანს ქართველი საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა.

ეს პრობლემა მრავალდარგობრივია და საჭიროა მისი კომპლექსური შესწავლა. ამის გამო სწორი არ იქნებოდა, ცალკეული სპეციალისტების მიერ ისეთი ზოგადი, ნაჩქარევი დასკვნების გამოტანა, როგორიცაა, მაგალითად, მშენებლობის შეჩერების საკითხი. ბუნებრივია, რომ არც მე მიეცემოდი ჩემს თავს ამის უფლებას. ყველა ვალდებულია თავისი შეხედულება შეიმუშაოს ამა თუ იმ კონკრეტული სპეციალობის მიხედვით. წინაალმდეგ შემთხვევაში, მათი დასკვნები დილეტანტიზმის დონეს ვერ გასცდება და შეუძლებელია მათ სერიოზული ხასიათი მიენიჭოს.

მე, როგორც არქეოლოგს, უპირველესად, მევალება ვიზრუნო მშენებლობის ტასაზე განლაგებული ისტორიული ძეგლების დაცვისათვის, რომლებსაც შიძლება დაზიანების ან განადგურების საფრთხე ექმნებოდეს. ჩვენს დაწესებულებაში რკინიგზის მშენებელმა სპეციალისტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ მშენებლობის ტერიტორიაზე მდებარე არქეოლოგიური ძეგლების შესწავლას დაახლოებით 25 წელი დასჭირდება, ცხადია, საღლეისოდ არსებული ტემპით. ჩვენი საუბრის დროსაც მხოლოდ ამაზე იყო გამახვილებული ყურადღება, ესე იგი ძეგლთა შესწავლაზე, და არა მშენებლობის შეჩერებაზე. სამწუხაროდ, ინტერვიუს ტექსტში ეს სხვაგვარად აყოლილა. მაგრამ უზუსტობანი ამით არ შემოფარგლა. გაკვირვებას იწვევს ინტერვიუს ტექსტის ბოლო ორი აბზაცი. აქ გამოთქმული შეხედულებები კორესპონდენტთან საუბრის დროს ჩვენ საერთოდ არ გამოგვითქვამს. მიუღებელი შეცდომაა დაშვებული ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების ადგილის მითითების დროსაც. სწორედ ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ძალიან დასანანია, რომ არ მომეცა საშუალება ტექსტს გავცნობოდი გამოქვეყნებამდე. ცხადია, ამ შემთხვევაში ჩემი დამატებითი განმარტებები არ იქნებოდა საჭირო.

ამგვარად, როგორც დავინახეთ, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის, პირადად ჩვენი და რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პოზიცია ერთიანია ისტორიულ ძეგლთა გადარჩენის საკითხში. მთავარია გამოინახოს ამ, ჩვენთვის ყველასათვის ერთნაირად სასხლეტრიული, ძეგლების დროული შესწავლის გზები.

სწორედ საამისო შესანიშნავ შესაძლებლობებს იძლევა 1987 წლის 5 მაისის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივი დადგენილება, რომელშიც ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივ დონეზე, ეროვნული და საზოგადოებრივი პოზიციების გთვალისწინებით არის შეფასებული რესპუბლიკაში არქეოლოგიურ ძეგლთა შესწავლის მრავალწახნაგოვანი პრობლემა და მიღებულია დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები საქართველოში არქეოლოგიური სამუშაოების თანამედროვე დონეზე წარმართვისათვის.

კ. ფიცხელაური,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ადრეფეოდალური ხანის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

ემზადებიან ქრილოგისათვის

დამთავრდა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პარიზი. აქ მუშაობა დაამთავრა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც განიხილა საფრანგეთის კომპარტიის XXVI ყრილობისათვის ფრანგ კომუნისტთა მზადების საკითხი. საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, აღნიშნულია პლენუმის რეზოლუციაში, მიიღო გადაწყვეტილება 1987 წლის 2-6 დეკემბერს მოიწვიოს XXVI ყრილობა.

პლენუმის მუშაობის დროს, ხაზგასმით აღინშნა მისი დამთავრების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჟორჟ მარშემ, ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ყურადღებით გააანალიზეს ქვეყნის შინაპოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა და დაასკვნეს, რომ საფრანგეთს დაუდგა სერიოზული კრიზისის ხანა, რომელიც ეხება მისი ცხოვრების ყველა მხარეს. ამ დროის მანძილზე არაერთგზის გამართულა არჩევნები, იცვლებოდნენ მთავრობები. ყოველი მათგანი აცხადებდა, რომ სურდა მოეხდინა ცვლილებები საფრანგეთში, მაგრამ ყოველთვის პოლიტიკა, როგორც სშინაო, ისე საგარეო, უცვლელი რჩებოდა, მშრომელთა მდგომარეობა კი სულ უფრო მძიმდებოდა.

ყველა პოლიტიკური პარტიიდან, ხაზგასმით აღინშნა ჟ. მარშემ, მხოლოდ კომუნისტები იცავდნენ თანამიმდევრულად და მიზანდასახულად მშრომელთა უფლებებს, მოითხოვდნენ ქვეყნის მდგომარეობის ძირეულ შეცვლას.

პლენუმზე მიიღეს გადაწყვეტილება 1988 წლის გაზაფხულზე პრეზიდენტის არჩევნებში საფრანგეთის კომპარტიის კანდიდატად დაასახელონ საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ანდრე ლაჟუანი. საბოლოო გადაწყვეტილებას ამ საკითხზე, თქვა ჟ. მარშემ, მივიღებთ ამა წლის ივნისში კომპარტიის ეროვნულ კონფერენციაზე.

ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა საფრანგეთის კომპარტიის XXVI ყრილობისათვის მოსამზადებელი დოკუმენტის პროექტისა და საფრანგეთში პრეზიდენტის არჩევნებისათვის მზადების გეგმისადმი მიძღვნილი საფრანგეთის კომპარტიის დოკუმენტის შემუშავებელი სპეციალური კომისია.

მკაცრად დაგმო

კუბის წარმომადგენელი ამერიკის შეერთებულ შტატებში ადამიანის უფლებათა შესახებ

ნიუ-იორკი. ამერიკის დელეგაციის ცდები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს სესიაზე ადამიანის უფლებათა საკითხის განხილვა გადააქციოს პოლიტიკური კონფრონტაციისა და ვაშინგტონისათვის არასასურველი სუვერენული სახელმწიფოების, უწინარეს ყოვლისა კუბის წინააღმდეგ ცილისწამების საშუალებად, მკაცრად დაგმო კუბის დელეგაციამ. ადამიანის უფლებათა დარგში თვით ამერიკის შეერთებული შტატების ნამსახურობის სია სამარცხვინოა, განაცხადა ოთხშაბათს კუბის წარმომადგენელმა ალბერტო ველასკო სან-ხოსემ.

სწორედ შეერთებული შტატებია ქვეყანა, ხაზგასმით აღნიშნა მან, რომელიც თავისი საპყრობილეების დილეგებში ალპობს ათასობით პატიმარს, მათ შორის პოლიტიკური მოტივებითაც. ამერიკის შეერთებულ შტატებში ეძებენ ყველაზე გაწფფულ საშუალებებს, რათა თავიდან მოიშორონ პოლიტიკური ოპონენტები. ქვეყანაში დაუნდობლად ხოცავენ მოქალაქეებს მარტო იმისათვის, რომ ისინი მუქი ფერისანი არიან, როგორც ეს ახლახან მოხდა ნიუ-იორკის ჰოვარდ-ბიჩის რაიონში. ამერიკის ხელისუფალნი მხარს უჭერენ სამხრეთ აფრიკის რასისტულ რასისტებსა და ისრაელ აგრესორებს, რომლებიც უსწორდებიან სამხრეთ აფრიკის მკვიდრ მოსახლეობასა და პალესტინელებს.

ადამიანის უფლებათა დარგში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა, ხაზგასმით აღნიშნა კუბის წარმომადგენელმა, მიზნად ისახავს ფეხქვეშ გათელოს ხალხთა უფლებები, რომლებსაც ისინი უყურებენ მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი იმპერიალისტური ინტერესების პრიზმით. ისინი აბუჩად იგდებენ ხალხებს, მათ შორის საკუთარ ხალხს, რომლებიც ესწრაფვიან მოსპონ შიმშილი, უმუშევრობა, ეკონომიკური უთანასწორობა, რადგან უამისოდ ვერ გადაწყდება ადამიანის უფლებათა პრობლემა.

◆ ინდოეთი

რ. განდის განცხადება

პენჯაბში ვითარების მოწესრიგების შესახებ

დელი. საკადრის კორ. ბორის ზაიცევი იუწყება: ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა რაჯივ განდიმ განაცხადა, რომ ქვეყნის მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ყველაფერი იღონოს პენჯაბის სასაზღვრო შტატში ვითარების მოწესრიგებისათვის. 20 მაისს აქ პენჯაბის შტატის სიქთა თემის დელეგაციასთან შეხვედრის დროს ინდოეთის მთავრობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ისწრაფვის პენჯაბელი მოსახლეობის მხარდაჭერით ბოლო მოუღოს ტერორიზმს შტატში და შექმნას პირობები, რათა რაც შეიძლება მალე ჩაუდგეს იქ ხელისუფლებას სათავეში მთავრობა, რომელიც მოსახლეობის მხარდაჭერით სარგებლობს. განმარტა რა ცენტრალური მთავრობის პოზიცია პენჯაბის მიმართ, პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტის მართვა-გამგეობა შტატში შემოღებული იყო მხოლოდ სიტუაციის გულდასმით და ყოველმხრივი ანალიზის შემდეგ. „შტატში ტერორისტთა გახშირებული შეიარაღებული გამოხდომების შედეგად ვითარება იმდენად გამწვავდა, რომ მთავრობას სხვა არაფერი დარჩენოდა, ასეთი გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმის გარდა“, — აღნიშნა რ. განდიმ.

დელეგაციაში შემავალი სიქთა თემის ცნობილი წარმომადგენლები მიესალმნენ პრეზიდენტის მართვა-გამგეობის შემოღებას პენჯაბში და ინდოეთის მთავრობის მეთაურს უთხრეს, რომ შტატის მოსახლეობის სულ სხვადასხვა ფენები მთლიანად უჭერენ მხარს და იწონებენ ქვეყნის ხელმძღვანელობის ღონისძიებებს.

ინდოეთის უშიშროების ძალები კვლავაც ახორციელებენ ოპერაციებს, რათა აღკვეთონ ტერორისტთა გამოხდომები. ქალაქ ჩანდიგარჰში გამოსვლის დროს პენჯაბის პოლიციის გენერალურმა დირექტორმა ჯ. რიბეირომ ჟურნალისტებს აცნობა, რომ პოლიციამ დააპატიმრა რამდენიმე განსაკუთრებით საშიში დანაშაული, რომლებსაც ეძებდნენ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა, სახელმწიფო მოსამსახურეთა დახოცისა და ბანკების გაძარცვის გამო.

ამავე დროს, როგორც ინდოეთის საინფორმაციო სააგენტოები მოწმობენ, პაკისტანის სპეცსამსახურები კვლავაც ცდილობენ მოახდინონ ვითარების დესტაბილიზაცია პენჯაბში. როგორც იუნის სააგენტო იუწყება, ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე ჭხემ-კარანის რაიონში ერთბაშად ცამეტმა პაკისტანელმა აგენტმა სცადა შეეღწია ინდოეთის ტერიტორიაზე. მათი გამოხდომა აღიკვეთა ინდოელ მესაზღვრეთა გაბედული მოქმედების შედეგად.

მეგობროების გასაღრმავებლად

სოფია. ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დიდი კმაყოფილება გამოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ტ. ჟივკოვის მოსკოვის შეხვედრის შედეგების გამო. ეს შეხვედრა ახალ იმპულსს ანიჭებს თვისებრივად ახალ საფუძველზე ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის, ბულგარეთის კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ერთიანობის, შეკავშირებისა და ძმური მეგობრობის შემდგომ გაღრმავება-სრულყოფას. ეს ნათქვამია გუშინ აქ გავრცელებულ ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობაში.

ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ღრმა რწმენას გამოთქვამს, რომ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ძმობის, ორი პარტიისა და ქვეყნის სრული თანამაზრეობისა და ურთიერთმოქმედების ეს ახალი გამოვლინება დიდი წვლილია სოციალიზმისა და მშვიდობის საქმეში.

ფოტოინფორმაცია

იაროუს ძველბედობის ქამი დაუდგა

იაროუ პატარა სამრეწველო ქალაქია დიდი ბრიტანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში, მდინარე ტაინზე. იგი 30-იან წლებში კრიზისისა და უმუშევრობის სიმბოლოდ იქცა. იაროუს არსებობა მაშინ მთლიანად გემომშენებლობაზე იყო დამოკიდებული: შროგისუნარიანი მოსახლეობის უმრავლესობა დასაქმებული იყო პალმერის გემთსაშენში და მის ფოლადსამსხმელო ქარხანაში. გემთსაშენის დახურვა აქაური მშრომელებისათვის უმუშევრობას ნიშნავდა. იმ წლების გაზეთები იაროუს „საკვდილზე“ წერდნენ, თვითონ ქალაქელები კი, რომლებსაც სიღატაკე და შიმშილი ელოდათ, „მკვლელობაზე“ ლაპარაკობდნენ.

მას შემდეგ 50 წელი გავიდა, და აი, იაროუს კვლავ ძველბედობის ეამი დაუდგა. იხურება ქარხნები და გემთსაშენები, ხოლო რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩა, სრული ძალით არ მუშაობენ. მატულობს „ზედმეტ ადამიანთა“ რიცხვი, მცხოვრებნი იძულებულნი არიან მშობლიური ადგილები მიატოვონ და საშოვარზე წავიდნენ.

▲▲



სურათებზე: ზემოთ — ჯონ ვიდგერი უკვე შვიდი წელია უმუშევარია. — „ყველაზე სავალალო ის არის, რომ ვერ მიშოვია შეგირდი, რომელსაც ჩემს შრომის იარაღს ვუანდერძებდი“, — ამბობს ჯონი; იაროუს ეს ქუჩა ოდესღაც ხალხმრავალი იყო. დღეს უმუშევრობის გამო ხალხმა მიატოვა სახლ-კარი და ბედის საძებნელად წავიდა.

კამერა პრეს-საკლესის ფოტო.

● აშშ

რეიგანის მოლაპარაკება იაკუბ ხანთან

ვაშინგტონი. საკადრის კორ. იგორ იგნატიევი გვატყობინებს: ოთხშაბათს თეთრ სახლში გაიმართა პრეზიდენტ რ. რეიგანის მოლაპარაკება პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრთან ს. იაკუბ ხანთან, რომელიც ამთავრებს ვიზიტს შეერთებულ შტატებში.

შეხვედრის დეტალებს არ იტყობინებიან. მაგრამ, როგორც ადგილობრივი პოლიტიკური მიმმხილველები აღნიშნავენ, ისლამაბადის რეჟიმის დიდი თანამდებობის „ემისრის ვაშინგტონში ვიზიტის მთავარი მიზანია მიაღწიოს პაკისტანისადმი ამერიკის სამხედრო დახმარების გაფართოებას. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის თანამდებობის პირებთან მოლაპარაკების დროს განიხილავენ პაკისტანისთვის ადრეული გაფრთხილებისა და შეტყობინების სისტემით აღჭურვილი თვითმფრინავების გადაცემის საკითხს. მათი მიღების სანაცვლოდ ისლამაბადი მზად არის ხელი შეუწყოს პაკისტანის ტერიტორიაზე მდებარე ბაზებიდან ავღანელ დუშმანთა ოპერაციების მკვეთრ გაქტიურებას.

რეიგანისა და იაკუბ ხანის შეხვედრის შემდეგ თეთრი სახლის პრეს-მდივნის მოადგილემ დ. ჰოვარდმა განაცხადა, რომ ადმინისტრაციას „ჯერ არ გადაუწყვეტია“, კონკრეტულად რომელ ადრეული გაფრთხილებისა და შეტყობინების სისტემას მიიღებს პაკისტანი. მაგრამ, თუ ამერიკის სხვა თანამდებობის პირების გამონათქვამებით ვიმსჯელებთ, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ უკვე გამოთქვა პრინციპული თანხმობა მიაწოდოს ისლამაბადს ასეთი სისტემით აღჭურვილი თვითმფრინავები და ახლა განიხილავენ გარიგების ტექნიკურ დეტალებს.

ოსტატი—შვილი დიდოსტატებისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული საბჭოთა თეატრალური და კინოხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტი სოფიო (სოფიკო) მიხეილის ასული ჭიაურელი დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპეციალური სიგელით.

იყო დრო, ამ ოჯახში ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. მივიდოდი, ოხუნჯობდა, ენაწყლიანობდა ია მიშა — დიდი კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი, ხოლო ქალბატონი ვერიკო — დიდი მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე — ყოველთვის მკაცრი და სერიოზული, დროდადრო სიყვარულით ქოქოლას აყრიდა მეუღლის უკიდეგანო ფანტაზიას...

...ამ ოჯახში, ფიქრის გორაზე, ეს თქმა უნდა, ახდა თავის გზით მიდის ცხოვრება, ოღონდ, სამწუხაროდ, ისინი აღარ არიან.

— დედაჩემის სიკვდილის შემდეგ, გონს ჯერ კიდევ ვერ მოვსულვარ, არადა, ბევრი რამე მისახელია... ოკით, რა ჩანაწერები, ღღიურები დარჩა დედას?.. იქნებ გამოვვე, — ამბობს სოფიკო და ორ ვეებერთელა საქაღალდეს მაგიდაზე დებს. — ესენი ჩემზეა, თვითონ მიგროვებდნენ, არაფერი გამორჩებოდათ, არც ჩვენი, არც უცხოური... ამოჭრიდნენ ფოტოებს, რეკენზიებს, საგუდაგუდოდ დანომრავდნენ...

— უფრო რომელს გაგხართ?

— პირდაპირობითა და მისწრაფებით, აღბათ, დედას, სიღაღით — მამას...

— ნიჭით კი, მგონი, ორივეს...

— რას ამბობთ, მაგათი ნიჭი მე ვინ მომცა?!

— ეს ხომ ვიცინოა, „ჩვენი ეზოდან?“..

— დიახ, ჩემი პირველი როლია კინოში. მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, მოსკოვის საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტში ვსწავლობდი. ნახეთ თქვენ, დაათვალიერეთ, მე ახლავე მოვაე...

* * *

რა თქმა უნდა, სედნიერებაა, ძვირფასო მკითხველო, ტრადიციის აგრერიგად გაგრძელება. იყო დრო, როდესაც მის სახელს ხშირად ასე წაუმძღვარებდნენ: „მიხეილ ჭიაურელისა და ვერიკო ანჯაფარიძის ქალიშვილი“... მრავალფეროვანმა ნიჭმა, შრომისმოყვარეობამ ქართულ სცენასა და ეკრანზე ჩვენს თვალწინ თანდათან გამოძერწა ბრწყინვალე მსახიობი სოფიკო ჭიაურელი — ეროვნული აქტიორული სკოლის სრულიად ახალი ფენომენი, რომელსაც დღეს საღოცავ კეკლატრად უნთია ედე-მამის სახელი.

ღიღი უშუალობა, პლასტიკა, სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილი, სიანცვ და სიგიჟმაჟე, ღირკუელისა და ეპიკური ზომიერი შერწყმა — ასეთი სოფიკო ჭიაურელი ვიკით ჩვენ აგერ, ოკეანათი წელიწადია, უფრო სწორად, ასეთ ხასიათებს გვიხატავს იგი, და ეს ხასიათები უაღრესად მახლობელია ჩვენთვის, ქართველია, მარჯანიშვილის თეატრის უღიდესი სამსახიობო ტრადიციები უდევს საფუძვლად. რჩეულთა წიდხვედრია სცენაზე თანამედროვეობის უღიდესი მსახიობის ვერიკო ანჯაფარიძის ივდითს შეპბედოს („შემეშინდა, ედედ რომ მითხრა ივდითი უნდა ითამაშო“...) და მერე „ვერის უბნის მეღლიებში“ — ფიქმ-მუზიკლში უბრალო მრეცხავი ქალის როლი შეასრულოს, სცენაზე ჟანა დარკის ცხოვრებით იცხოვროს და სრულიად ახალგაზრდამ ეკრანზე გააცოცხლოს ღრმად მოხუცებული ქართველი ქალი — სიღონია...

დღევანდელი ნომრის სტუმარი

—ჩემი სანატრელი როლი ანა კარენინა იყო და, სიმართლე გითხრათ, არ გამომივიდა. რისი ბრალი იყო: ინსცენირების, რეჟისორის თუ ჩემი, ძნელი სათქმელია, გახსოვთ, აღბათ, თქვენ ეს სპექტაკლი... ფაქტია, რომ ოკნებად დარჩა და მე კვლავაც სიამოვნებით მივუბრუნდებოდი ანა კარენინას...

ზარი. მასპინძელი გადის და ღიდი ამბით შემოჰყავს ჩვენი გამოჩენილი რეჟისორი გიორგი დანელია, რომელიც ეს-ესაა მოსკოვიდან ჩამოფრენილა.

გიორგი დანელიასთან იმდღევანდელი საუბრიდან:

მე შვიდი წლით უფროსი ვარ სოფიკოზე და დამოკიდებულებაც ისეთი მაქვს მასთან, როგორც პატარა ბავშვთან. ჩემთვის მთელი ცხოვრება მსახიობი იყო ვერიკო ანჯაფარიძე, ხოლო სოფიკო მის ქალიშვილად დარჩა. ყველა სპექტაკლი და ფილმი მინახავს მისი მონაწილეობით, მაგრამ დამოკიდებულება არ შეკვლია: ვერიკოს ქალიშვილი... და აი, შარშან, მოსკოვში შემოქმედებითი საღამო ჰქონდა სოფიკოს, რომელზეც ოოტ-ოოტა, მაგრამ მთელიანობაში მისი ყველა როლი ვნახე, და ვიგრძენი, რომ ეს არის უნიჭიერესი მსახიობი, ნამდვილი ოსტატი...

* * *

სოფიკო ჭიაურელი ხაღხის გულწრფელი სიყვარულითაა გარემოსილი. ზედმეწევნით იცნობენ მის შემოქმედებას. ამიტომ აქ შეგნებულად ავარიდე თავი მისი როლების ჩამოთვლა-შეფასებას. ქართველ მსახიობს ხაღისით იწვევენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კინოსტუდიები. საქართველოს სახალხო არტისტი, სომხეთის სახალო არტისტიც გახლავთ — რამდენიმე როლი შესანიშნავად შეასრულა „არმენფილმში“. რა თქმა უნდა, გაინტერესებთ და ამიტომ გატყობინებთ, რომ ამჟამად სოფიკო ჭიაურელი თეატრში მუშაობს ახალ როლზე ედუარდ დე ფილიპოს პიესაში „ნეაპოლი — მილიონერთა ქალაქი“, რომელსაც რეჟისორი გ. თოდაძე დგამს, ხოლო რაც შეეხება კინოს, მსახიობმა სიცილით მითხრა, რომ მოსკოვის გორკის სახელობის სტუდიის ფილმში თამაშობს... სიკვდილის როლს. — ოღონდ, სიკვდილის სახით აქ გამოყვანილია მშვენიერი ქალი, რომელიც მიიტყუებს, თავისთან იწვევს ადამიანს — თქვა სოფიკომ.

როგორც იკით, ამ დღეებში თბილისში მიმდინარეობს XX საკავშირო კინოფესტივალი. ბევრი სახელოვანი კინემატოგრაფისტია ჩამოსული ჩვენს დედაქალაქში, რომელებთანაც მეგობრობა და სიყვარული აკავშირებს სოფიკო ჭიაურელს. ქართველი მსახიობისადმი დამოკიდებულებას კარგად გამოხატავს

პოპულარული კინომსახიობის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ლუდმილა გურჩენკოს ნათქვამი:

„როცა ქართულ კინოზე ვფიქრობ, ძალაუნებურად ვფიქრობ სოფიკო ჭიაურ

ახალი ჟურნალი

▼▼

თბილისში მუშაობა დაამთავრა საერთაშორისო კონფერენციამ „მეცნიერება, ტექნოლოგია და საზოგადოება“, რომლის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სოციალური და ჰუმანიტარული შედეგები. კონფერენცია მოაწყვეს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციამ და საზოგადოებრივ-სამეცნიერო გამოკვლევებისა და დოკუმენტაციის კოორდინაციის ევროპის ცენტრმა (ვენის ცენტრი) საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან თანამშრომლობით.

კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების მეცნიერები და სპეციალისტები, აგრეთვე მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ევროპის ეკონომიკური გაერთიანების, გამოყენებითი სისტემური ანალიზის საერთაშორისო ინსტიტუტის წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიები.

პლენარულ სხდომებზე განხილეს ამ კონფერენციის თემატიკაზე ბოლო ოთხი წლის განმავლობაში იუნესკოს მიერ გაწეული საქმიანობის შედეგები, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნოლოგიის პროგრესის ტემპი და მასშტაბები, მათი განვითარების ისტორიული ასპექტები.

▼▼

გაზიანი ხილის წყლები — საქართველოს სახაგრომრეწვის ლილოს საექსპერიმენტო ქარხნის ახალი პროდუქცია გაიგზავნა რესპუბლიკის კურორტებზე. საათში საწარმო უშვებს ექვსი ათას ბოთლ ყურძნის, ვაშლის, ქლიავისა და ციტრუსის ვიტამინიან წვენებს.

მოკლე ვადაში ქარხანაში დამონტაჟდა აგრეგატები, რომლებსაც ერთ საათში 50 ტონა ყურძნისა და ხილის გადამუშავება შეუძლიათ. დაიდგა წვენის საწმენდი ფილტრები. საწარმოში შრომის ნაყოფიერების ზრდას ხელი შეუწყო ჰიდროსარეცხი მანქანის დადგმამაც, რომელმაც მუშები მძიმე ფიზიკური შრომისაგან გაათავისუფლა.

▼▼

შეამოწმონ და განიმტკიცონ ფიზიკის ცოდნა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის მეოხებით — ამის შესაძლებლობა მისცეს მერვეკლასელებს საქართველოს განათლების სამინისტროს მთავარი გამოთვლითი ცენტრის სპეციალისტებმა. აქ შეიქმნა ამ საგნის ავტომატიზებული საკონტროლო-საკორექტირებო კურსი, საუკეთესო სასწავლო პროგრამისათვის გამოცხადებულ საკავშირო კონკურსში „ფიზიკა-8“, რომელიც პირველად მოაწყვეს სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა და ჟურნალ „სტუდენტჩესკი მერიდიანის“ რედაქციამ, გამარჯვებულთა შორის დასახელეს გ. გვარამია, ა. ელიგულაშვილი, ო. ხაზარაძე, ი. მარგველაშვილი, რ. ჯაფიაშვილი და ლ. მოსიაშვილი, რომლებიც სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ.

▼▼

ნოდარ დუმბაძის შემოქმედება ყველა ჩვენგანისათვის ძვირფასია და ახლობელი. მისი სახელის უკვდავსაყოფად ბევრი რამ კეთდება საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

ამ დღეებში მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში გაიმართა ნოდარ დუმბაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც უძღვებოდა ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ა. რუდენკო-დესნიაკი. ქართველი მწერლის შემოქმედებაზე ილაპარაკეს მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანმა, ი. ზასურსკიმ, ცნობილმა კრიტიკოსმა ლ. ანენსკიმ, სსრკ მწერალთა კავშირის კონსულტანტმა ა. ოგანიანმა, ქართველმა მოღვაწეებმა თ. ბუაჩიძემ, გ. ლორთქიფანიძემ, გ. ქავთარაძემ.

საღამოზე ცნობილმა მოსკოველმა მსახიობებმა წაიკითხეს ნაწყვეტები ნ. დუმბაძის ნაწარმოებებიდან.

ეკრანი

პირველი პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. მულტფილმი. მუსიკა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის „ბავშვობის რიტმების“ კონცერტი. 9.35 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. ვ. ი. ლენინი. ცხოვრების ფურცლები. ტელეფილმი „ერთხელ არწეული გზა. 1887-1893 წლები“. მე-3 ფილმი „მოწიფულობა“. 10.35— მსოფლიო და ახალგაზრდობა. 11.10 და 17.00 — ახალი ამბები. 17.15 — ფილმი ბავშვებს. 18.35 — ახალი ამბები. 18.40 — დოკუმენტური ტელეფილმი „რუსეთის რკინის საქმე“. 18.55 — საოპერო არიებს ასრულებს ნ. რომანოვა. 19.15 — ეკოლოგია და მსოფლიო. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 19.55 — დოკუმენტური ტელეფილმი „მაღაზიის გამგის სიდიკოვის საქმე“. 20.30 — მხატვრული ფილმი „ვინ მიკაკუნებს კარს“. 21.50 — მღერის ვოკალური ტრიო „რიაბინუშკა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. 23.25 — საშემსრულებლო ხელოვნების ოსტატები. ბარ დუგლასი (დიდი ბრიტანეთი). 0.05 — დღეს მსოფლიოში. 0.20 — გაიცანით — ახალგაზრდა კინემატოგრაფისტები. 1.15 — მშვიდობის ველორბოლა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი. 9.35 და 10.40 — მუსიკა. IV კლასი. 10.00 და 15.05 — ინგლისური ენა. 10.30 და 11.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 11.30 და 12.30 — ისტორია. VII კლასი. 12.00 — ჩვენი ბაღი. 13.00 — მხატვრული ტელეფილმი „ომენიკები“. III სერია. 14.05 — საჭადრაკო სკოლა. 14.35 — შენი ლენინური ბიბლიოთეკა. 15.00 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — ბამი: სოციალური ასპექტები. ცენტრალური ტელევიზიის გამსვლელი რედაქციის მასალების მიხედვით.

კინოხიდი: კანი-თბილისი

თბილისის XX საკავშირო კინოფესტივალის მონაწილეებს კანიდან გულითადად ესალმება სახელგანთქმული ქართველი კინორეჟისორი თენგიზ აბულაძე. (სურათი გამოგზავნილია კანიდან).

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში გამართული საკონცერტო პროგრამის მონაწილე კინომსახიობთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): ზ. გერდტი, ლ. გურჩენკო, ო. ონოფრიევი, მ. გლუზსკი, ვ. ივაშოვი და ა. ფილოზოვი.

შ. კრიმსკის და ჯ. ლომაკის ფოტო.

XX საკავშირო კინოფესტივალი თბილისში

უალრესად შემჯიდროვებულია XX საკავშირო კინოფესტივალის სამუშაო დღეები. მოძმე რესპუბლიკების კინოს მოღვაწენი შემოქმედებითს ანგარიშს აბარებენ თბილისელ მშრომელებს, მოსწავლე ახალგაზრდობას. გრძელდება საკონკურსო ჩვენებანი.

განსაკუთრებით მრავალფეროვანია დოკუმენტური ფილმების პროგრამა, რომელიც მაყურებელს წარმოუდგენს ეპოქის მატიანეს. მნიშვნელოვანი მოვლენაა რიგის კინოსტუდიის კინოდოკუმენტალისტის ი. პოდნიეკსის უკვე გამაბაურებული ფილმი „ადვილია თუ არა იყო ახალგაზრდა?“ ბევრს მოწმობს ის ფაქტი, რომ დათვალიერების ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით სურათს ფესტივალზე მეათედ უჩვენებენ, მაშინ როცა ამგვარ დათვალიერებათა დებულებით ყოველ სურათს მხოლოდ ერთხელ აჩვენებენ ხოლმე. ეს გამოიწვია იმან, რომ სპეციალისტთა და მაყურებელთა ფართო აუდიტორიამ დიდი ინტერესი გამოიჩინა ამ მნიშვნელოვანი ნაშუშევრისადმი.

ამ ფილმის შესახებ უკვე ბევრი რამ დაიწერა და ითქვა. ამ ფერადი რვანაწილიანი ფილმის ავტორები იკვლევენ და შეუღამაზებლად უჩვენებენ მაყურებელს ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდობის სულიერ სამყაროს. ეს სამყარო არაერთმნიშვნელოვანია, მთლად დალაგებული არ არის, ზოგჯერ კი ამკარად საგონებელში აგდებს კაცს. სიკეთის, პატიოსნებისა და სამართლიანობის მაღალი იდეალების მაგალითებთან ერთად ფილმი თვალსაჩინოდ ავლენს სულიერი სიბერწის, ზნეობრივი უბადრუკობის შემთხვევებს, მაგრამ, უარყვეს რა თავდაზვე ფუჭი საყვედურები ახალგაზრდების მიმართ, ფილმის ავტორები მაყურებლს მოუწოდებენ გაერკვნენ, თუ როგორია ჩვენი წელილი ამ მწვავე პრობლემების გადაწყვეტაში.

ენობრივი ბარიერები არ არსებობს

კინოფორუმზე ჩამოსულ საზღვარგარეთის დელეგაციებს ამ დღეს თარჯიმნები არ დასჭირვებიათ. ისინი ეწევიან თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს. პოლონეთის, ლოსის, ვიეტნამის, მონღოლეთის, სხვა ქვეყნების კინოკრიტიკოსებმა და კინომცოდნეებმა, ჟურნალისტებმა უმაღლესი სასწავლებლის გაცნობა დაიწყეს სამხატვრო გამოფენით. აქ წარმოდგენილი იყო ინსტიტუტის სტუდენტთა — მომავალ მასწავლებელთა და მთარგმნელთა მიერ შესრულებული ფერწერული, გრაფიკული ნამუშევრები, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები. მათი უმრავლესობა ეძღვნება ახალგაზრდობის ცხოვრებას, მის საზრუნავსა და იმედებს.

სტუმრებს მეორე ექსპოზიცია დახვდათ ბიბლიოთეკის დარბაზში. აქ შეკრებილი წიგნები გამოცემულია ჩვენს რესპუბლიკაში და საზღვარგარეთ, რომლებიც აშუქებენ საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობას.

ინსტიტუტის პროექტორმა სასწავლო ნაწილში ნანა ფრანგიშვილმა და ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანმა მზალო დოხტურიშვილმა სტუმრებს უამბეს, თუ როგორ მიმდინარეობს სტუდენტთა სწავლების პროცესი უმაღლეს სასწავლებელში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კონტაქტებს საზღვარგარეთელ კოლეგებთან. თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტს ეს კონტაქტები საკმაოდ მნიშვნელოვანი აქვს. ყოველწლიურად ინსტიტუტის სტუდენტები მონაწილეობენ ინტერნაციონალური რაზმების მუშაობაში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ტრადიციული გახდა თბილისში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მასწავლებლების მოწვევა. ეი ახლაც უმაღლეს სასწავლებელში მუშაობენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ავსტრიის, ჩინეთის სპეციალისტები. თავის მხრივ, თბილისელი სპეციალისტები რეგულარულად მონაწილეობენ საერთაშორისო სიმპოზიუმებში, საზღვარგარეთელ კოლეგებთან ერთად კოლექტიური კრებულების შედგენაში, სამუშაოდ ჰიდიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

თუ როგორია უმაღლეს სასწავლებელში სწავლების ხარისხი, სტუმრებს შეეძლოთ შეეფასებინათ კონცერტით, რომელიც სტუდენტებმა სპეციალურად მათთვის მოამზადეს. ლექსებსა და სიმღერებს ისინი ასრულებდნენ მსოფლიოს ხალხთა ენებზე.

შეხვედრა უმცროს კოლეგებთან

კინოფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს უმასპინძლა თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის კინოსტუდია „პიონერფილმმა“. ჩვენს რესპუბლიკაში ამ კოლექტივს წარდგენა სულაც არ სჭირდება, რადგან აქ შექმნილ ფილმებს ბევრჯერ გაუმარჯვიათ და „დავით IX“ კინომოყვარულებმა აჭარაში იპოვეს. ერთ ოჯახშია რვა ქალიშვილი და მხოლოდ ერთი, ყველაზე პატარა ბიჭი დავითი. სწორედ ის გახდა ამ ფილმის გმირი. ფილმის „ღიმილის“ გმირები კი შემთხვევითი გამვლელები არიან. ბავშვები კინოკამერით ქუჩაში გავიდნენ და ყველას, ვისაც კი შეხვდებოდნენ აჩერებდნენ და სთხოვდნენ გაიღიმათ. ამის შედეგად გამოვიდა საინტერესო ნაწარმოები, რომელსაც შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ.

მაგრამ რაც უნდა დიდი ყოფილიყო სტუმრების გაკვირვება ნორჩი კინომოყვარულების ნაშუშევრებით, მათ კიდევ უფრო მეტი სიურპრიზები ელოდათ. თურმე კინოსტუდიის წევრები მარტო კინოხელოვნებით როდი ყოფილან გატაცებული. მათ მომზადებულ კონცერტში ცხადყვეს სიმღერისა და ცეკვის შესანიშნავი უნარი, ცოტა მოგვიანებით კი ფესტივალის მონაწილეებს შეეძლოთ დაეწმუნებულიყვნენ ბავშვთა კიდევ ერთ ხელოვნებაში — კულინარიის ხელოვნებაში. „პიონერფილმის“ გოგონათა მიერ მომზადებული ნამცხვარი და ტორტი ყველას მოეწონა.

— ეს საოცარი კოლექტივია, — თქვა შეხვედრის დამთავრების შემდეგ საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში რეჟისორმა ი. ნიკოლაევმა. — უკვე აღარაფერს ვამბობ ბავშვთა ნამუშევრებზე, რომელთა შორის არის ფილმი „ჩემი ბიოგრაფია“. იგი, ჩემი აზრით, განსაკუთრებით ხიბლავს მაყურებელს სტილისტიკით, დიდი რეჟისორისა და მსახიობის შემოქმედების ზუსტი გაგებით. იქნებ „პიონერფილის“ ყველა მონაწილე მომავალში ვერ გახდეს კინოს მუშაკი, მაგრამ მნიშვნელოვანია სულ სხვა რამ — მათი ბავშვობა გადის შემოქმედებითს ატმოსფეროში.

მოძალის კუთვნილება

თბილისის კინოს სახლის დიდ დარბაზში გაიმართა თვალსაჩინო საბჭოთა კინორეჟისორის ილია ავერბახის ხსოვნის საღამო. ფოიეში გახსნილ მხატვარ-ფოტოგრაფის ნიკოლოზ ზნისიუკის ნამუშევართა გამოფენას ამ დღეს ახალი ფოტოსურათები შეემატა. სტენდებზე გაჩნდა ფოტოსურათები, რომლებიც ასახავენ ოსტატის შემოქმედებითს გზას, ფილმებზე მის მუშაობას.

ილია ავერბახის სურათები უყვართ. ფილმებმა — „მონოლოგი“, „სხვისი წერილები“, „სიყვარულის ახსნა“, „ხმა“, სხვა ნაწარმოებებმა აღიარება მოუპოვეს მას, როგორც ეკრანის ჭეშმარიტ ოსტატს. რეჟისორის უკანასკნელი ფილმი კი დოკუმენტური იყო. მას ეწოდება „წარმტაცი ნეგის ნაპირებზე“. ფილმი რეჟისორმა გადაიღო იტალიის ტელევიზიის შეკვეთით, სადაც მაშინ მზადდებოდა თორმეტსერიანი ციკლი „ევროპის კულტურული ცენტრები“. ილია ავერბახზე უკეთეს რეჟისორს, რომელიც ლენინგრადზე ფილმს გადაიღებდა, ძნელად თუ იპოვიდა კაცი.

იგი მკვიდრი ლენინგრადელი იყო. აქ დაიბადა და გაიზარდა, დამთავრა სამედიცინო ფაკულტეტი, მუშაობდა უბნის ექიმად (მედიცინით ჰაბუკურ გატაცებას მოუხადა ხარკი რეჟისორმა ფილმით „რისკის ფონე“). აქედან ი. ავერბახი სასწავლებლად გაემგზავრა ჯერ უმაღლეს სასცენარო, შერე კი უმაღლეს სარეჟისორო კურსებზე. მათი დამთავრების შემდეგ კი „ლენფილმს“ დაუბრუნდა.

ყველა, ვინც კი ილია ავერბახს იცნობდა, აღნიშნავს მის უაღრესად თანამედროვე სულისკვეთებას, რომელიც სპორტად იყო შეხამებული მშობლიური ქალაქის ტრადიციების ერთგულებასთან. რეჟისორს ერთხელ თავადაც უთქვამს: „ჩემში ბევრი რამ არის წარსულიდან“, აღიარებდა, რომ რუსეთის კლასიკური კულტურიდან აღზრდილია. ყოველივე ეს დაეტყო კიდეც მის სურათებს, რომლებისთვისაც დამახასიათებელია მკაფიო, დახვეწილი ფორმები, შინაარსიანობა, სიღრმე. მისი ნაწარმოებების თემა ხდებოდა ადამიანის მოსაგრეობა, თანაზიარობა, მსხვერპლის გაღების, დიდი, წმინდა სიყვარულის უნარი. ეს თვისებები მთლიანად არის დამახასიათებელი თავად ილია ავერბახისთვისაც, რაც წარმოჩნდა კიდეც მის ნამუშევრებში, ადამიანებისადმი მის დამოკიდებულებაში.

საღამო გახსნა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ე. შენგელაიამ, რომელმაც მოიგონა რეჟისორთან თავისი შეხვედრები. მან განსაკუთრებით აღნიშნა, თუ რა ინტერესს იჩენდა ი. ავერბახი ქართული კინოსადმი. იგი ხომ ლენინგრადისა და ჩვენი რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა ერთობლივი ლონისძიებების ინიციატორი იყო. ახლა ილია ავერბახის მიერ დაწყებული ტრადიცია ვითარდება. წელს ზაფხულში ბაქანინაში გაიმართება ერთობლივი სემინარი „ოსტატები და ახალგაზრდები“. ე. შენგელაიამ წინადადება წამოაყენა ამერიდან საქართველოს და ლენინგრადის კინემატოგრაფისტთა კონტაქტებს ეწოდოს „ავერბახის“ შეხვედრები.

რეჟისორზე ილაპარაკეს ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატებმა ნ. ზორკაიამ და კ. წერეთელმა, კინოდრამატურგმა ე. ახალდიანმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მ. გლუზსკიმ, რომელმაც მთავარი როლი შეასრულა სურათში „მონოლოგი“, რეჟისორმა და კინოდრამატურგმა ა. სმირნოვმა, ოპერატორმა ვ. იაკოვლევმა, რომელიც მუშობდა ფილმზე „წარმტაცი ნეგის ნაპირებზე“.

დასასრულ შეკრებილთ უჩვენეს ილია ავერბახის უკანასკნელი ფილმი „წარმტაცი ნეგის ნაპირებზე“.

(საქინფორმი).

სვანური პეიზაჟები—კიევში

კიევი. 21 მაისი. (საქინფორმის სპეც. კორ.). კიევის სამხატვრო სალონში გაიხსნა მხატვრისა და არქიტექტორის იური ხიმიჩის ნამუშევართა გამოფენა-ვაჭრობა „სვანეთი“. სურათების გაყიდვით მიღებული თანხა ავტორმა გადაწყვიტა გადარიცხოს საქართველოში სტეჟიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარების ფონდში.

იური ხიმიჩი არაერთხელ ყოფილა ჩვენს რესპუბლიკაში, სწავლობდა და ხატავდა მის ძველ და თანამედროვე არქიტექტურას და ისტორიულ ძეგლებს. იგი განსაკუთრებით მოხიბლა სვანეთის მკაცრმა პეიზაჟებმა, საიდანაც მხატვარმა ჩამოიტანა მრავალი ეტიუდი, მონახაზი, პორტრეტის ჩანახატები. ეს მასალები შეადგენენ ექსპოზიციაში წარმოდგენილ ნამუშევართა საფუძველს. დამთვალიერებელი აქ ნახავს მაღალმთიანი სოფლების პანორამას მათთვის დამახასიათებელი ძველი კოშკების სილუეტებით მთის მწვერვალების ფონზე, რომლებიც ხან ამომავალი მზის სხივებით არის გაბრწყინებული, ხან ძლივს ილანდება ღრუბლებში ან ნისლში. „საყარაულო კოშკი“, „უფსკრულის თავზე“, „ჩაჟაში“, „ალპინისტ მ. ხერგიანის სამშობლო“, „სვანური ეზო-კარი“; „შავი გუშაგები“, „თოვლქვეშ“ „შხარა“, „დილა“, „მდინარე ენგური“ — მათი სახელები თვითონვე ასახავენ პეიზაჟების ხასიათს.

მთიანი სვანეთის პორტრეტი უწოდა ამ ნაწარმოებებს გამოფენის გახსნისას კიევის მთავარმა არქიტექტორმა ვალენტინ ეფოვმა. მან აღნიშნა, რომ იური ხიმიჩის სურათები შინაარსიანი მოთხრობებია, რომლებიც შესრულებულია ქართული ტრადიციების, მისი არქიტექტურისა და ხელოვნების ძეგლების დიდი ცოდნით.

კურორტი ემზადება

შარშან ბორჯომის ტერიტორიული საბჭოს კურორტებზე 57 ათასმა კაცმა დაისვენა და გაჯანსაღდა.

წლეულს უფრო გაიზრდება დამსვენებელთა რიცხვი, გაიზრდება, რა თქმა უნდა, მასპინძელთა საზრუნავიც, და ამდენად, კურორტ-ქალაქი საზაფხულო სეზონს მზად უნდა შეხვდეს.

მიმდინარე წელს კურორტის ჯანმრთელობის კერების ტერიტორიათა კეთილმოსაწყობად გამოყოფილმა კაპიტალურმა დაბანდებამ 596 ათასი მანეთი შეადგინა. ეს კი ნიშნავს, რომ განახლდება და უფრო კომფორტული გახდება „ფირუზას“, „მთის ხეობის“, „ლიკანის“, „კეჩხობის“, „პლატოს“ საძილე კორპუსები და კვების ბლოკი, კეთილმოწყობა სკვერები, გასართობი თუ სპორტული მოედნები.

საკურორტო სეზონისათვის ემზადება ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკიც. შემუშავებულია მისი კეთილმოწყობის ოთხწლიანი პროგრამა. წლეულს პირველი რიგის სამუშაოების დამთავრებაა გათვალისწინებული; მოეწყობა ყალთაბურთის, ფრენბურთისა და ჩოგბურთის მოედნები, მთავრდება საცურაო აუზისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, ამ დღეებში კი ბავშვთა ატრაქციონიც დამონტაჟდება.

ბორჯომი საკურორტო სეზონის დიდ სამზადისშია.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

განაჩენი აღსრულებულია

როცა სიტყვა ჩამოვარდება ნარკოტიკების დამღუპველ ძალაზე, ზოგიერთი ჩვენგანი იტყვის ხოლმე: თავის დაღუპვა უნდა კაცს და რა გინდა, რომ ქნა! მაგრამ ნარკომანის დეგრადაცია არსებით საფრთხეს უქმნის გარშემო მყოფთ.

წინათ ქურდობისათვის ნასამართლევმა ვ. გასანიანმა არ მოისურვა ძირფესვიანად შეეცვალა ცხოვრების მანკიერი წესი, ხელი მოეკიდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის. შეეგვალ ეგი სხვა რამით — ანაშის წყვეთ პოულობდა. ნარკოტიკის მორიგი დოზა რომ მიიღო, მან საზარელი, მხეცური საქციელი ჩადინა, გაუპატიურა ექვსი წლის გოგონა. უფრო მეტიც, ცოლობდა რა დაეფარა კვალი, მსხვერპლი სხვენში აათრია და რამდენჯერმე ჩაარტყა ბლაგვი საგანი თავში. ნაძირალას ეგონა, გოგონა მოკვდაო, და რუბეროიდის ნაგრეხი გადააფარა, ქვეშეთ დაეშვა და... ჩაება მის ძებნაში, რომელიც უკვე დაეწყოთ ბავშვის გაუჩინარების გამო შეშფოთებულ მეზობლებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ვ. გასანიანს სასჯელად ექვსი წლის თავისუფლება, ბოლოს, ამ ადამიანმა ბოლოს ... ეს ... ეს ... ე